

# ქართული გრამიტიკა

პარვულდაწყებით შეოღებისათვის

ხიდი ხელაძის მიერ

შემგენილი

— 2 —

მეორე გამოცემა.



ძეთაძირი

პ. ფრებილ და ნ. ვარნერის ულიცი-საბუჭის

1913



ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାମରି

ବ୍ୟାକୁଲିତ

I

+

J = 98

მუს გამოცემა  
წერილი

# ქართული გრამატიკა

პირველდაწყებითი შკოლებისათვის

30434

სილავ. ხუნდაძის მიერ

გერგენი

— ۳۴ ۳۵ —



3. ფრიამის დაწეს. ვარნაუბავის ილიდცერო-სამუჭავა  
1913

ხ მ ე ბ - ი; კ ნ ბ ა ნ ი.

სიტყვები სხვადასხვა ხმის საშვალებით გა-  
მოითქმის: მ-ა-მ-ა, დ-ე-დ-ა, ს-ა-ხ-ლ-ი, ჰ-უ-რ-ი.

ხმები ადამიანის სამეტყველო თრგანთებით  
გამოითქმის: ბაგრთ, გბაჭით, ხორხით, სასით, ენით.

ბაგით გამოითქმის ბ, ე, პ, ფ—და ამათ ეწო-  
დებათ ბაგისმიერი ხმები;

ღ, ღ, ტ კბილისმიერი ხმებია,—

ზ, ძ, ჩ, ლ, ჟ, ჰ—ხორხისმიერი ხმებია,—  
და სხვ.

ხმების გამომხატველ საწერ ნიშნებს ასოებდ  
ეწოდება.

მართულ ანბანში ოცდაცამეტი ასო;

ა მ ბ რ ი რ ი გ ა ს ხ ე ლ წ დ ე ბ ა:

ა—ან	მ—მან	ღ—ღან
ბ—ბან	ნ—ნარ	ჟ—ჟინ
გ—გან	ო—ორ	ჩ—ჩინ
დ—დონ	პ—პარ	ჩ—ჩინ
ე—ენ	ჟ—ჟან	ც—ცან
ვ—ვინ	რ—რე	ძ—ძილ
ზ—ზენ	ს—სან	წ—წილ
თ—თან	ტ—ტარ	ჭ—ჭარ
ი—ინ	უ—უნ	ხ—ხან
პ—პან	ფ—ფარ	ჯ—ჯან
ლ—ლას	ძ—ძან	ჰ—ჰევ.

ხმები ა, ე, ი, ღ, უ თავისთავათ ხმამაღლა  
გამოითქმის—და ამიტომ ხმოვანი სმები ეწოდებათ;  
დანარჩენი ხმები, მაგალითად; ბ, ზ, ლ, ვ და სხვ.

თავისთავათ ყრუთ გამოითქმის; ხმამაღლა, თავისუფალი ხმით მათი გამოთქმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მათ თან ერთერთი ხმოვანი ახლავს, მაგალითად: ბა, ბე, ბო, ბუ, ბა, ბმ, ბო, ბუ და სხვ.; ამიტომაც ამ ხმებს თანხმოვანი ხმები ეწოდება.

(ჩამოთვალეთ ყველა თანხმოვანი ხმა რიგზე).

**შენიშვნა.** ჩვენს ანბანში ძველათ კიდევ შემდეგ ასოებს ხმარობდენ: ლ, ჟ, ჰ, კ, ჭ, შ.—ანბანი ძველათ ანგარის შისთვისაც იხმარებოდა:

ა—1	იგ—13	ა— 60	შ— 900
ბ—2	იზ—14	ო— 70	ბ—1000
გ—3	იე—15	ო— 80	ო—2000
დ—4	ივ—16	ე— 90	ძ—3000
ვ—5	იზ—17	ო—100	წ—4000
ჟ—6	იტ—18	ს—200	ჭ—5000
ჰ—7	ით—19	ტ—300	ნ—6000
კ—8	კ—20	ე—400	კ—7000
თ—9	გა—21 და სხ.	ფ—500	ჯ—8000
ი—10	ლ—30	ქ—600	ჰ—9000
ია—11	ა—40	ღ—700	გ—10,000
იბ—12	ნ—50	ყ—800	და სხვ.

### ს ი ტ ჟ პ ა.

სხვადასხვა ხმისგან სიტყვა შედგება,— მაგალის თაღ: ხე, ბაღი, წერა, კითხვა, დასწერეს, წაიკითხეს, ხეზე, ბეზე, ბაღში.

## სიტყვის უძღვენილობა.

ავილოთ, მაგალითად, სიტყვა ბალახი; საუ-  
ბარში ამ სიტყვას შეიძლება ან თავში მიემატოს  
რაიმე ნაწილაკი, ან ბოლოში, ან თავშიც და ბო-  
ლოშიც; მაგალითად: ჩვენ საბალახე აღგილი გვაქვს,  
მე ბალახში ვიყავი, ბავშები საბალახესთან თამა-  
შობენ.

სიტყვებს თავში შემდეგი ნაწილაკები (თავსარ-  
თები) დაერთვის: სა, სი, ა (სრულათ აღ), გა (გან),  
და, წა (წარ), შე, მი, მო, ჩა (ზთა), — მაგალი-  
თად: სასწორი, სისწორე, აღდგომა, აშენება,  
განცხადება, გაკეთება, დაწერა, წაკითხვა, წარ-  
ჩინებული, შეხედვა, მიტანა, მოტანა, ჩაწერა.

ბოლოში სიტყვებს შემდეგი ნაწილაკები (თან-  
დებულები) ერთვის ხოლმე: თვის, პენ, დეი, გან,  
თან, ში, ზე, — მავალითად: საქმისთვას, ქალა-  
კისპენ, ლვთისადმი, კაცისბან. ტყესთან, წყალში,  
ხეზე.

ავილოთ სიტყვა, მაგალითად, გულბეთილი;  
ეს სიტყვა ორი ნაწილისაგან შედგება: გული + კე-  
თილი, ესე იგი ამ გძელ სიტყვაში ორი მოკლე,  
ორი მარტივი სიტყვაა შეერთებული — და ამიტომ  
რთული სიტყვა ეწოდება. აღ კიდევ რთული სიტყ-  
ვები: თავდაბალი, ფეხმარდი, შავთვალა, დედ-მამა,  
და-მმა, სახელგანთქმული, ჯვარცმული, გულმხურ-  
გალე.

(სოჭვით: რაღარა მარტივი სიტყვისაგან შე-  
დგება თითოეული აქ ჩამოთვლილი რთული სიტყ-

ვა? ძიდევ დაასახელეთ ოთული სიტყვების რამდენიმე ნიმე მაგალითი).

### მ ა რ ც ა ლ ი.

შოველ სიტყვაში არის ერთი ან რამდენიმე ხმოვანი, აგრეთვე ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი ხმა:

ხე, ქაცი, ბუხარი, მონადირე.

თითოეულ სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენი ხმოვანიც შიგ ურცვია; მაგალითად: სიტყვა ხე ერთმარცვლოვანია, ქაცი—ორმარცვლოვანი (კა-ცი), ბუხარი—სამმარცვლოვანი (ბუ-ხა-რი), მონადირე—თოხმარცვლოვანი (მო-ნა-დი-რე).

შენიშვნა. სიტყვაში ხმოვანი უთუოთ უნდა იქნეს, თანხმოვანი კი შეიძლება არ იყოს, მაგალი. ია, უი, აი და სხვ.

### ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს დ ა მ ა რ ც ვ ლ ა.

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ერთი თანხმოვანია, ეს თანხმოვანი ამ ხმოვანს ეკუთნის. პვილოთ სიტყვა ბალი: თანხმოვანი და ხმოვანს ი-ს ეკუთნის და მასთან კალკე მარცვალს დი-ს შეადგენს (ბა-ლი).

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ორი თანხმოვანია, ერთი წინა ხმოვანს ეკუთნის, და მეორე იმ ხმოვანს, ოომლის წინაც ზის: ბაგ-ში, ქოვ-ზი, ქარ-თუ-ლი.

თუ სიტყვაში ხმოვნის წინ სამი ან მეტი თან-  
ხმოვანია, უკანასკნელი თანხმოვანი იმ ხმოვანს  
ეყუთნის, რომლის წინაც ზას, დანარჩენი თანხმო-  
ვანი კი წინამომდევარ ხმოვანს ეკლთნის და მასთან  
ცალკე მარცვალს შეადგენს:

სეტყ-ვა, ბარტ-ე, სა-ვარც-ხა-ლი.

თუ სიტყვა თავსართიანია ან რთული, მაშინ  
თავსართები და რთული სახელის შემაღებელი ნა-  
წილები ცალკე უნდა ვიანგარიშოთ:

გა-სწო-რე-ბა, აღ-დგო-მა, სა-ბძა ნე-ბე-ლი, და-  
მძა, შავ-თვალ წარ-ბა, ხელ-მწი-ფე.

დამარცვლეთ შემდეგი სიტყვები: ქადნიერი,  
ბედნიერი, გულწრფელი, საოცნელი, სახელმწიფო,  
საგუთრება, განსაგუთრებული, განთქმული, თოვლი-  
ანი, წინააღმდეგობა, საგრძნობელი, სამგებარი, შე-  
შლილი, თვალცრუმლიანი, სამგურნალო, სასმელ-  
საჭმელი.

## ს ა გ ა ნ ი.

შველაფერს, რასაც თვალით ფხედავთ, ან ხე-  
ლით შევეხებით, ან გონებით წარმოვიდგენთ,— ქვია  
საგანი,— მაგალითად: მთვარე, ბალახი, ანგელოზი.

\*

ზოგ საგანს თავისი ნებით შეუძლია მოძრაობა,  
მაგალითად ქაცს, თევზს, ფრინველს:— ამისთანა  
საგანს სულიერი საგანი ეწოდება;— ზოგიერთს კი  
თავისი ნებით მოძრაობა არ შეუძლია, მაგალითად

ვა? ძიღევ დაასახელეთ რთული სიტყვების რამდენიმე მაგალითი).

### მ ა რ ც პ ა ლ ი.

შოველ სიტყვაში არის ერთი ან რამდენიმე ხმოვანი, აგრეთვე ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი ხმა:

ხე, ქაცი, ბუხარი, მონადირე.

თითოეულ სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენი ხმოვანიც შიგ უჩვია; მაგალითად: სიტყვა ხე ერთმარცვლოვანია, ქაცი—ორმარცვლოვანი (კა-ცი), ბუხარი—სამმარცვლოვანი (ბუ-ხა-რი), მონადირე—ოთხმარცვლოვანი (მო-ნა-დი-რე).

**შენიშვნა.** სიტყვაში ხმოვანი უთუოთ უნდა იქნეს, თანხმოვანი კი შეიძლება არ იყოს, მაგალ. ია, უი, აი და სხვ.

### ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს დ ა მ ა რ ც პ ლ ა.

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ერთი თანხმოვანია, ეს თანხმოვანი ამ ხმოვანს ეკუთნის. პვილოთ სიტყვა ბალი: თანხმოვანი ლ ხმოვანს ი-ს ეკუთნის და მასთან კალკე მარცვალს ლი-ს შეადგენს (ბა-ლი).

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ორი თანხმოვანია, ერთი წინა ხმოვანს ეკუთნის, და მეორე იმ ხმოვანს, ომლის წინაც ზის: ბაგ-ში, კოგ-ზი, ქარ-თუ-ლი.

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ სამი ან მეტი თან-  
ხმოვანია, უკანასკნელი თანხმოვანი იმ ხმოვანს  
ეკუთნის, რომლის წინაც ზის, დანარჩენი თანხმო-  
ვანი კი წინამომდევარ ხმოვანს ეკუთნის და მასთან  
ცალკე მარცვალს შეადგენს:

სეტყ-ვა, ბარტ-ეი, სა-გარც-ხა-ლი.

თუ სიტყვა თავსართიანია ან რთული, მაშინ  
თავსართები და რთული სახელის შემადგენელი ნა-  
წილები ცალკე უნდა ვიანგარიშოთ:

გა-სწო-რე-ბა, აღ-დგო-მა, სა-ბძა ნე-ბე-ლი, და-  
მძა, შავ-თვალ წარ-ბა, ხელ-მწი-ფე.

დამარცვლეთ შემდეგი სიტყვები: ქადნიერი,  
ბედნიერი, გულწრფელი, საოცარი, სახელმწიფო,  
საგუთრება, განსაგუთრებული, განთქმული, თოვლი-  
ანი, წინააღმდეგობა, საგრძნობელი, სამგებარი, შე-  
შლილი, თვალცრემლიანი, სამკურნალო, სასმელ-  
საჭმელი.

### ს ა გ ა ნ ი.

ყველაფერს, რასაც ოვალით ფხედავთ, ან ხე-  
ლით შევეხებით, ან გონებით წარმოვიდგენთ, — ქვია  
საგანი, — მაგალითად: მთვარე, ბალახი, ანგელოზი.

\*

ზოგ საგანს თავისი ნებით შეუძლია მოძრაობა,  
მაგალითად ქაცს, თევზს, ფრინველს: — ამისთანა  
საგანს სულიერი საგანი ეწოდება; — ზოგიერთს კი  
თავისი ნებით მოძრაობა არ შეუძლია, მაგალითად

ქეს, ხეს, სახლის: — ამისთანა საგანს უსულო ხაგანი ეწოდება: — ზოგიერთი საგანი, — მაგალითად ღმერთი, ფიქრი და სხვ., — ცხოლოდ აშრით, მხოლოდ გონებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თვალით კი ვერ დავინახავთ და ხელით ვერ შევეხებით; — ამისთანა საგანი ჩვენგან შორს არის გამდგარი, უანყენებულია — და ამიტომ განუენებითი საგანი ეწოდება. პი კიდევ რამდენიმე განუენებითი საგანია: ანგელოზი, სული, აზრი, ჭერა, გრძნება, მწუხარება, ბოროტება, სიკეთე, სიხალული, ბეჭნიურება.

(დაასახელეთ კიდევ რამდენიმე სულიერი, უსულო და განუენებითი საგანი).

\*

სხვადასხვა საგანს სხვადასხვა სახელი ქვია; ყოველივე საგნის სახელს არსებითი სახელი ეწოდება, — მაგალ. ვარსგვარავა, ქაცი, ფრინგელი, ანგელოზი, ხე, ტემ, ჭარი — და მზგავსი სახელები არსებითი სახელებია.

სახელი არსებითი სამგვარია:

საპუთარი (ბიორგი, თფილისი, ჩართლი).

საზოგადო (ქაცი, ქალი, მხარე) და

ძრებითი (ჭარი, ხალხი, ჭოგი, ფარა, გუნდი).

იმისთანა სახელს, რომელიც საგნის სიპარავეს გვიჩვენებს, ქნინობითი სახელი ქვია: ჩიტუნია, გოგონა, ვარიკა, ქატუნია, ვანო, სანდრო. — ქნინობითი სახელი ორგვარია: მოფერებითი (ვანო, სანდრო, მიხაჭა, მიხო) და დამცირებითი (ვანოა, სანდროა, ივანიკა, მიხელია).

სახელი არსებითი საუბარში სხვადასხვა გან-  
სხვავებულ დაბოლოებას მიიღებს; — მაგალითად: ტრე-  
დი ხეზე შემოჯდა, მონალირებ ტრედის მოკვლა  
მოინდომა, ტრედს ტყვია მოხვდა, ტრედმა სული-  
დალია და სხვ.

სხვადასხვა დაბოლოებით სახელების ცვალებას  
ბრუნება ქვია.

სახელი შვიდნაირი ფორმით იბრუნვის, — თი-  
თოეულ ფორმას ბრუნვა ქვია, ასე რომ სულ შვიდი  
ბრუნვაა:

1. სახელობითა: ბავშ-ი
2. ნათესაობითა: ბავშ-ის
3. მიცემითა: ბავშ-ს
4. მოთხრობითი: ბავშ-მა
5. მოქმედებითა: ბავშ-ით
6. გნებითა: ბავშ-ა-თ
7. წოდებითი: ბავშ-ო!

\*

ბრუნვები კითხვებით გამოიცნობა, — მაგალი-  
თად: ბავშის წიგნი მთელია, ბავშს წიგნი უყვარს,  
ბავშმა წიგნი კარგათ ისწავლა; —

გისი წიგნია მთელი? — ბავშის;

გის უყვარს წიგნი? — ბავშს;

გინ ისწავლა წიგნი კარგათ? — ბავშმა.

მათხვა გინ ლვოისა და აღამიანის შესახებ იხ-  
მარება, დანარჩენი საგნების შესახებ კი იხმარება  
კითხვა რა: —

გინ შექმნა ქვეყანა? — ლმერთმა,

გინ მოდის? — ქალი.

გისი წიგნია ეს? — ყმაწვილის.

გის უყურებ შენ? — მხედარს.

რა მირბის? — ხარი.

რის ტყავია ეს? — დათვის.

რას აშენებ? — სახლს.

რამ გაიღვა ფესვი? — მუხამ.

\*

რიცხვი ორია: მხოლოდითი რიცხვი, როცა  
ერთ საგანზეა ლაპარაკი, მაგალითად სახლი, და  
მრავლობითი რიცხვი, როცა ბევრ საგანზეა საუბა-  
რი, მავალითად სახლები.

### არსებით სახელთა ბრუნება.

#### მხოლოდითი რიცხვი.

1.

სახ. ვინ? — ძმა

ნათ. ვისი? — ძმის

მიც. ვის? — ძმას

მოთხ. ვინ? — ძმამ

მოქმ. ვისით? — ძმით

ვნებ. რათ? — ძმათ

შოდ. ვინ? — ძმაო!

რა? — კატა

რის? — კატის

რას? — კატას

რამ? — კატამ

რით? — კატით

რათ? — კატათ

რა? — კატაო!

2.

სახ. ვინ? — მოწმე	რა? — კლდე
ნათ. ვისი? — მოწმის	რის? — კლდის
მიც. ვის? — მოწმეს	რას? — კლდეს
მოთ. ვინ? — მოწმემ	რამ? — კლდემ
მქ. ვისით? — მოწმით	რით? — კლდით
ვნ. რათ? — მოწმეთ	რათ? — კლდეთ
შოდ. ვინ? — მოწმეო!	რა? — კლდეო!

3.

სახ. ვინ? — ბავში	რა? — იხვი
ნათ. ვისი? — ბავშის	რის? — იხვის
მიც. ვის? — ბავშს	რას? — იხვს
მთ. ვინ? — ბავშმა	რამ? — იხვმა
მქ. ვისით? — ბავშით	რით? — იხვით
ვნებ. რათ? ბავშათ	რათ? — იხვათ
შოდ. ვინ? ბავშო!	რა? — იხეო!

4.

სახ. ვინ? — გოგო	რა? — რკო
ნათ. ვისი? — გოგოსი	რის? — რკოსი
მც. ვის? — გოგოს	რას? — რკოს
მთ. ვინ? — გოგომ	რამ? — რკომ
მქ. ვისით? გოგოთი	რით? — რკოთი
ვნ. რათ? — გოგოთ	რათ? — რკოთ
შოდ. ვინ? გოგო!	რა? — რკოო!

5.

სახ. ვინ? — ყრუ	რა? — ბუ
ნათ. ვისი? — ყრუსი	რის? — ბუსი

მ. ვის? — ყრუს	რას? — ბუს
მთ. ვინ? — ყრუმ	რამ? — ბუმ
მქ. ვისით? — ყრუთი	რით? — ბუთი
გ. რათ? — ყრუთ	რათ? — ბუთ
წ. ვინ? — ყრუო!	რა? — ბუო

მ რ ა ს გ დ ლ დ ბ რ თ ი რ ი ც ნ ხ გ ა.

1.

- ს. ძმ-ებ-ი
- ნ. ძმ-ებ-ის
- მ. ძმ-ებ-ს
- მთ. ძმ-ებ-მა
- მქ. ძმ-ებ ით
- გ. ძმ-ებ-ათ
- წ. ძმ-ებ-ო!

2.

- მოწმე-ებ-ი
- მოწმე-ებ-ის
- მოწმე-ებ-ს
- მოწმე-ებ-მა
- მოწმე-ებ-ით
- მოწმე-ებ-ათ
- მოწმე-ებ-ო!

3.

- ბავშ-ებ-ი
- ბავშ-ებ-ის
- ბავშ-ებ-ს
- ბავშ-ებ-მა
- ბავშ-ებ-ით
- ბავშ-ებ-ათ
- ბავშ-ებ-ო!

4.

- ს. გოგო-ებ-ი
- ნ. გოგო-ებ-ის
- მ. გოგო-ებ-ს
- მთ. გოგო-ებ-მა
- მქ. გოგო-ებ-ით
- გ. გოგო-ებ-ათ
- წ. გოგო-ებ-ო!

5.

- ყრუ-ებ-ი
- ყრუ-ებ ის
- ყრუ-ებ-ს
- ყრუ-ებ-მა
- ყრუ-ებ-ით
- ყრუ-ებ-ათ
- ყრუ-ებ-ო!

მრავლობით რიცხვში სახელები მეორეგვარი  
დაბოლოებითაც იბრუნვის: მმანი, კატანი, მოწმენი,  
ჰდენი, ბაგშნი, იხვნი, გლენი, რეჭნი, ყრუნი,

როცა სახელი მეორე დაბოლოებით იბრუნვის,  
ორი ბრუნვა არ იხმარება, სახელდობ: მოქმედები-  
თი და გნებითი.

\*

მეორე დაბოლოების მრავლობითი რიცხვი.

6. ძმანი, კლდენი, ბავში, რკონი, ბუნი.

8ც. { ძმათა, კლდეთა, ბავშთა, რკოთა, ბუთა.  
8თ.

8ქ. — — —

8. — — —

9. ძმანო! კლდენო! ბავშნო! რკონო! ბუნო!

### შენიშვნები ბრუნვის შესახებ.

1. არსებითი სახელების დაბოლოებანი არიან:

ა, ე, ი, ღ და უ (ძამა, ხე, კაცი, რკო, ბუ).

2. ა-ზე დაბოლოებული სახელები მხოლო-  
დით რიცხვში მარტო ნათესაობითსა და მოქმედე-  
ბით ბრუნვებში კარგავს ა-ს, მრავლობითში კი—ყო-  
ველგან (ნახეთ წინ მაგალითები: ძმა, ჭარა).

3. მ-ზე დაბოლოებული სახელები მარტო მხო-  
ლობითი რიცხვის ორ ბრუნვაში, სახელდობ ნა-  
თესაობითსა და მოქმედებითში, კარგავს ე-ს; მრავ-  
ლობით რიცხვში კი ე არ იკარგება არცერთ ბრუნ-  
ვაში (ნახეთ წინ მაგალითები: მოწმე, კლდე).

4. მ-სა და უ-ზე დაბოლოებული სახელები არსად არ კარგავს თ-სა და უ-ს (ნახეთ წინ მაგალითები: ჟკო, ურუ, ბუ), გარდა სიტყვისა დგინდ, რომელსაც მხოლ. რიცხვის ნათეს. და მოქმედ ბრუნვები ასე აქვს: დგინდს, დგინდთ.

5. ი-ზე დაბოლოებული სახელები ყოველგან კარგავს ამ ი-ს; მხოლობითი რიცხვის ვნებით ბრუნვაში დაბოლოების თ-ის წინ ამ შემთხვევაში ა ჩაერთვის (ნახეთ მაგალითები: ბაგში, იხვი).

6. ვნებით ბრუნვაში თ-ს გარდა კიღევ იხმარება ჩვენს მწერლობაში დაბოლოება დ, მაგალითად: ბაგშად, კატად, ბაგშებად, კატებად..

მხოლობითი რიცხვის წოდებითი ბრუნვა უმეტეს ნაწილათ მ-ზე ბოლოვდება: მმარ! მზეო! კაცო! ხბოო! ბუ!

ზოგიერთ სახელს წოდებითი იხე აქვს, როგორც სახელობითი:

ა. ნათესავთა და მოუფარეთა სახელებს პ-ზე: დედა, მამა, მამა, დაია (მმა დ და კა—მმაო, დაო), ძა, ბიძა, ბება, ბაბუა, მამიდა, დეიდა, ბებიდა. ბაბუდა, ბიძა, კადა, ნათლია და სხვ.:

ბ. მ-ზე დაბოლოებულ სახელებს, ერთმარცვლოვანს გარდა,—მაგალითად: ჩემო სატრაფო! ჩემო სამშობლო! გოგო! წებო! შალო! —ერთმარცვლოვანს კი მ ემატება: რეოო! ხბოო!

გ. საჭუთან სახელებს საზოგადოთ ყველა ხმოვანზე, გარდა ი-სა: ბურია, წეალტუბო, ტკირიჭე (სოფელია)! საგურამო, ღვაბზუ (სოფელია)! ანდრია!

მდენე! სანდოთ! ხუტუ! ბუგუნივა! ჭავჭავაძე!

დ. მოხელეთა სახელებს ა-ზე: მეგაღა! მეწუ-  
ღა! მებაღე!

ე. პნინობით სახელებს ა-ზე: ჩიტუნა, გო-  
გონა! ტირა! წუნა! ვირიკა!

ვ. რთულ სახელებს ა-ზე (როცა ეს აგადა-  
კეთებულია ი-ნისაგან): შავთვალწარბა! ყელწითელა!  
(წარბი, წითელი).

ზ. ზოგიერთ საზოგადო სახელს ა-ზე: მე-  
ჭა! კერა! მერა! წერა! ტოროლა! ჩიორა! სკვინ-  
ჩა! ბელურა! თელა! და სხვ.

თ. ი-ზე დაბოლოებულის ადამიანთა სახელების  
შესახებ შემდეგი კანონი არსებობს: თუ დაბოლოე-  
ბის ი უცვალებელია, წოდებითი ისე აქვს, როგორც  
სახელობითი: ბიორგი! აკაკი! ლიმიტრი! ალექსი!  
ლომენტი! სევასტი! — და თუ ეს ი საცვალებელია,  
მაშინ წოდებითში იხმარება ი-ნის გამოკლებით: ლა-  
გით! ანტონ! თამან! ვახტანგ!

უ. წოდებით ბრუნვაში დაბოლოების ი-ნის  
მაგიერ პ-ნი მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარება,  
როცა განეუნებითი საგნის არსებით სახელს ვაბრუ-  
ნებთ და როცა იგი სახელობით ბრუნვაში ა-სა და  
უ-ზე ბოლოვდება, — მაგალ.: ჩემო ბედნიერებავ, ჩე-  
მო სიპეტევ!

ვ. მხოლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნ-  
ვაში ორგვარი დაბოლოებაა: ის და სი; დაბოლო-  
ება სი აქვს უ-სა და უ-ზე დაბოლოებულ სახე-  
ლებს, გარდა ორი სიტყვისა: ლვინო და ლრო, რო-

მელთაც ნათესაობითი ასე აქვთ: დგინდს, დროის, მოქმედ. ბრ.—დგინდთ, დროით; ამავე სახელებს მხოლოდ. რიცხვის მოქმედებით ბრუნვაში აქვს და-ბოლოება თი (იხ. წინ მაგალითები: გოგო, რკო, ერუ, ბუ).

ნათესაობითში სი-სა და მოქმედებითში თა-ზე ბოლოვდება იგრეთვე ზოგიერთი სხვა სახელიც:

1. პ-სა და მ-ზე დაბოლოებული ადამიანთა სახელები (მამია, მლენე—მამასი, მლენესი);

2. პ-ზე დაბოლოებული გვარები (ზუვუნავა, მლიავა—მუგუნავასი, მლიავასი),

3. პ-ზე დაბოლოებული იმისთანა რთული სა-ხელები, როცა დაბოლოების პ-ნის ალაგას. მარტივ სიტყვაში ი ზის: შავთვალწარბასი, შერტებბალასი;

4. პ-ზე დაბოლოებული კნინობითი სახელები (მოფერებითი: ჩიტუნია, გოგონა,—ჩიტუნიასი, გო-გონასი; დაცინგითი: ტირია, წუნია, ცხვირია, ხუმა-რა, კბენია და სხვ. (ტირიასი, წუნიასი და სხვ.));

5. ნათესავთა რთული სახელები პ-ზე: ბაბუა, ბებია, ბიძია, ძია (ბიძა კი—ბიძის), დეიდა, მამიდა, ბაბულა, ბებილა (ბაბუსი, ბებისი და სხვ.);

6. შემდეგი სახელები: ძერა, ტოროლა, ჩილ-კა, სკვინჩა, ბელურა, კოდალა, თელა, წერა, ბე-რა (კერია), წითელა, გადია.

სი-ს შეგიერ ზოგჯერ მარტო ს იხმარება: წიგ-ნი. შალვასი ან შალვას წიგნი; ვისია ეს წიგნი? მლენესი, ან ეს მლენეს წიგნია,



9. ბრუნვებს ხანდახან სრული დაბოლოებით  
ხმარობენ, ე ი. ბოლოში უმატებენ ა-ს: ნათ. ბაგ-  
შისა, ბაგშებისა, მიც. ბაგშესა, ბაგშებსა, მოქმ. ბაგ-  
შითა, ბაგშებითა, ვნ. ბაგშითა, ბაგშებათა (ბავშადა,  
ბავშებადა).

10-ზე დაბოლოებულ სახელებს მოთხრობით  
ბრუნვაში ყოველთვის მა ემატება (ბავში — ბაგშმა);  
ა-სა, ე-სა, ღ-სა და უ-ზე დაბოლოებულს კი მ  
(კატამ, კლდემ, რკომ, ბუმ); იშვიათად აქაც იხმა-  
რება სრული დაბოლოება მა: ბრძანა სთქვა, ბუმა  
სცნა და სხვ.

10. მრავლობით რიცხვში, როცა პროველი და-  
ბოლოებით ვაბრუნებთ, სიტყვებს ბრუნვებში იგივე  
დაბოლოება აქვს, როგორც მხოლობით რიცხვში;  
განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მრავლობითში  
დაბოლოების წინ ებ ჩაერთვის:

ბაგშ-ებ-ი, ბაგშ-ებ-ის, ბაგშ-ებ-ს და სხვ. (შეა-  
დარეთ მხოლობით რიცხვს).

3ნებით ბრუნვაში აქ დაბოლოების წინ ებ-ს  
გარდა ყოველთვის ემატება ა:

ბაგშ-ებ-ათ, რკოებ-ათ, ბუ-ებ-ათ (ნახეთ მე-ხ  
შენიშვნა).

11. როცა მრავლობით რიცხვში სიტყვას მეო-  
რე დაბოლოებით ვაბრუნებთ, სამ ბრუნვას: ნათე  
საფიბითს, მიცვებითსა და მოთხრობითს — ერთნაირი  
დაბოლოება აქვს, სახელდობ თა.

თუ შეგვხვდა სადმე, მაგალითად, ფორმა ბაგშ  
თა და გვინდა, გავიგოთ, თუ რომელი ბრუნვაა ეს

ფორმა,—იმ შემთხვევაში კითხვას უნდა მივმართოთ: რომელი ბრუნვის კითხვასაც მოითხოვს ეს ფორმა, ის ბრუნვა იქნება.

მოვიყვანოთ მაგალითები:

1. ამ ბავშთა მშობლები აქ არიან.
2. ივანე ამ ბავშთა სცემდა.
3. მს ამბავი ამ ბავშთა სთუვეს.

პირველ მაგალითში სიტყვა ბავშთა თხოულობს კითხვას: გისი? (ვისი მშობლები არიან აქ?); მეორე მაგალითში იმავე სიტყვას კითხვა უნდა ვისი? (ვისა სცემდა ივანე?); მესამეში უნდა კითხვა: ვინ? (ვინა სთუვა ეს ამბავი?).

მაშასადამე, პირველ მაგალითში ბავშთა ნათე-  
საობითი ბრუნვაა, მეორეში— მიცემითი, მესამეში—  
მოთხრობრთი.

### საოზართა გამოკლება ბრუნვებზე.

მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა, მა-  
ქმედებითსა და გნებით ბრუნვებში იკარგება ხმოვა-  
ნები ა და მ, როცა არსებითი სახელი ორმარცვლო-  
ვანზე მეტია და როცა აქვს ერთერთი ამ დაბოლო-  
ებათაგანი:

აღი, ამი, ანი, არი.

მღი, ემი, ენი, ერი.

მაგალითად: მამაღი—მამლის, მამლით, მამლათ;  
გიდეღი—გიდლის, გიდლით, გიდლათ.

მრავლობით ოცნებული კი ამგვარსავე სახელებში ყველა ბრუნვაში იკარგება იგივე ხმოვანები ა და მ. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელი პირველი დაბოლოებით იბრუნვის:

კედლები: კედლები, კედლების, კედლებს, კედლებმა, კედლებით, კედლებათ, კედლებო!

### შ ვ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

1. ზოგიერთი ორმარცვლოვანი სახელიც კარგავს ხმოვანებს იმავე ბრუნვებში: თვალი (როცა უსულო საგნის თვალს ნიშნავს, მაგალ. ბეჭდის თვალი, ურმის თვალი), ძვალი, რძალი, კვალი (მიწის ზომა), ბალი, წელი, ხმალი, ხანი, ჯვარი, ცვარი, მტკვარი, ზვარი, ჩვარი, ძარი, ქმარი; მგელი, ღვდელი, შველი, წელი (წელიწადი); ძღვენი, წგენი; მტერი, მტკვარი.

2. სამმარცვლოვან სახელებს შორის არ კარგავს ხმოვანებს: ზარალი, მოთალი, მტარგალი, მწვერგალი, ტრუდალი, სალამი, წამწამი, თარგმანი, თაეფანი, იასამანი, ზიანი, მერანი, ნეკტარი, თაფელი, კანკელი, მრეწველი, მართველი, სახელი, ქართველი, აქლემი; საზოგადოთ საკუთარი სახელები: ბურიელი, მარელი, თამარი, ბაქარი, მუინვარი და სხვ.; აგრეთვე კითხვაზე: სადაური? (ელიზე დაბოლოებული სახელები): ქართლელი, კახელი, სოფლელი, ქალაქელი და სხვ., გარდა სიტყვისა იმერელი (იმერლის, იმერლები); — ნარიზე დაბოლოებული

კრებითი სახელები: მუხნარი, ფიჭვნარი, ბალნარი.

3. შემდეგი სახლები ბრუნვებში კარგავს ხმოვანებს: ობოლი, ფოთოლი, ლილი, საბონი, გოდორი, კოტორი, ძოჯორი; — ბეგარა, ბეპელა, ფანჯარა, ქვეყანა, სომეხი, ყასაბი, კაკაბი, ნიჩაბი, ხვადაგი, ბეჭედი, ნაბადი, კარავი, მოუკარე.

4. შემდეგი სახელები მ-ს ვათ სცვლის: მადორი, მაწონი, დიაგონი, მონაზონი, ნიგოზი (მიღვრის, მიღვრით, მიღვრათ, მიღვრები, მონაზვნის, მონაზვნები, ნიგვზის, ნიგვზები).

5. ზოგიერთ სახელში იმავე ბრუნვებში მთელი მარცვალი იკარგ ბა: ამბავი, ხუცესი (ამბის, ამბით, ამბათ, ამბები, ხუცის, ხუცით, ხუცები).

6. სიტყვა დედოფალა ასე იბრუნვის: დედოფალასი, დედოფალათი, დედოფალათ, დედოფალები და სხვ. (დედოფალი კი — დედოფლის, დედოფლით, დედოფლები). —

7. სიტყვა ღმერთი ნათესაობითსა და მუქმედებით ბრუნვაში განსხვავებულია იბრუნვის: ღვთის, ღვთით.

\*

არ არის კორონაციი ფორმები: წამწმის, წამწმით, წამწმას, წამწმები. ვეშვის, ვეშვები; უმჯობესია: წამწამის, წამწამით, წამწამები, ვეშაპის, ვეშაპები და სხვ.

არ არის კეოლხმოვნი აგრეთვე ფორმები: მშვენიგრის, მშვენიგრათ, მაგიგრათ, მშიგრის, მშიგრები, ღონიგრათ, გონიგრათ; — უმჯობესია: მშვენი-

ერის, მშგენიერათ, მაგიერათ, მშიერის, მშიერები  
და სხვ. —

### ზედსართავი სახელი.

არსებით სახელებს გარდა საუბარში სხვა სიტყ-  
ვებიც იხმარება.

ჩვენს მუხაზე უვითელი მიმინო შემოჯდა.

ამ მაგალითში სიტყვა უვითელი დაერთვის  
სახელს „მიმინო“ და მის თვისებას გვიჩვენებს; —  
ამისთანა სიტყვას ზედსართავი სახელი ეწოდება.

პი კიდევ ზედსართავი სახელები:

შავი, თეთრი, მაღალი, ღაბალი, ვიწრო, ფარ-  
თო, ლრმა; — ტყიანი, ქვიანი, მთიანი, მტვრიანი; —  
შარშანდელი, დღევანდელი, გუშინდელი, შარშანდ-  
ლური, გუშინდლური; — საყაწვილო, სასოფლო, სა-  
ხალხო და სხვ.

ზედსართავი სახელების კითხვებია: როგორი?  
სადაური? როდინდელი?

ზედსართავი სახელი როგორია: კითარებითი  
და დამოკიდებითი.

კითარებითი ზედსართავი სახელი გვიჩვენებს  
საგნის თვისებას, ლირსებას ან ხარისხს, — მაგალ.  
მაღალი, დაბალი, მოკლე, გძელი, თეთრი, შაგი,  
გიწრო, ფართო, ჭერიანი.

დამოკიდებითი ზედსართავი სახელი გვიჩვენებს:  
ა. დროს, ბ. ადგილს, გ. მსხალას დ. დ. დანიშნუ-  
ლებას:

ა. შარშახდელი, დღევანდელი, ბუშინდელი,  
შარშახდლური, გუშინდლური;

ბ. პქაური, ქალაქელი, სოფლელი, ქალაქური,  
სოფლური;

გ. მკიანი, ტკიანი, ფულიანი, ვენახიანი;

დ. საემატგილო, საბაგმი, საკლასო, სასოფ-  
ლო, საქალაქო.

### ს ა რ ი ს ხ ე ბ ი.

ვითარებით ზედსართავ სახელს სამი ხარისხი  
აქვს: დაწყებითი, შედარებითი და აღმატებითი.

1. დაწყებითი ხარისხი: მაღალი, დაბალი, ოეთ-  
რი, წითელი, ღრმა;

2. შედარებითი ხარისხი: უმაღლესი, უდაბლე-  
სი, უთეთრესი, უწითლესი, უღრმესი;

3. აღმატებითი ხარისხი: უუმაღლესი, უუდაბ-  
ლესი, უუთეთრესი და სხვ.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

1. შედარებითი ხარისხი ასე კეთლება: სიტყვის  
საფუძველს\*) ემატება თავში უ და ბოლოში მს.

2. აღმატებითი ხარისხი შედარებითსგან კეთ-  
ლება თავში მეორე უ ნის შიმატებით.

\*) ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი სიტყვის იმ ნაწილს ქვია, რომე-  
ლიც რჩება, როცა ნათესაობით ბრუნვაში დაბოლოებას მოვაშო-  
რებო; მაგალითად: ნათესაობით ბრუნვაა მაღალის, წით-  
ლის, თეთრის, ღრმის; მს რო მოვაშოროთ, დარჩება  
საფუძვლები: მაღლ, წითლ, თეთრ, ღრმ.

3. შედარებითი ხარისხი კ'დევ ასე კეთლება: დაწყებით ხარისხს პირდაპირ ზმნისართი უფრო მიემატება: უფრო მაღალი, უფრო ღრმა და სხვ.

4. აღმატებით ხარისხსაც აქვს მეორე ფორმა, — დაწყებით ხარისხს ემატება ზმნისართები: ფრიად, ძლიერ, ძალიან, ძეგათ, ერთობ,— მაგალითად: ფრიად მაღალი, ერთობ თეთრი.

### შკანონი ხარისხები.

ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხებში მარცვლებს ელ-სა და ილ-ს კარგავს: გძელი, სქელი, ბრეელი, თხელი, სხვილი, ტბილი, თფილი. ამათგან შედარებითი და აღმატებითი ხარისხები იქნება: უგძესი, უსქესი, უსხვესი, უტბესი, უთხესი, უუტეესი, უუტბესი, უუსხვესი და სხვ.

### რიცხვითი სახელი.

რიცხვის აღმნიშვნელ სახელს რიცხვითი ხახელი ქვია:

მრთი, ხუთი, ასი; — პირველი, მეხუთე, მეასე, ოცდამეათე, ას ორმოცდამეათე და სხვ

რიცხვითი სახელი ორგვარია. იმისთანა რიცხვით სახელს, ომელიც საგნების ოოდენობას გვიჩვენებს, რაოდენობითი რიცხვითი სახელი ეწოდება,— მაგალითად: ერთი, ორი, სამი, ასი, ხუთასი, ხთასი.

იმისთანა რიცხვით სახელს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა რიგზეა დაწყობილი, საგნები, რიგითა რიცხვითი სახელი ქვია, — მაგალითად: ჰირველი, მეორე, მესამე, მესე, მეათასე,

### შ მ ნ ი შ ვ ნ ი ბ ი.

1. რთული რიცხვითი სახელები ერთად იწერება: ღვდაერთი, ღვდათუთხმეტი, ას რომღვდაათი, ათას ღვაას თხხმღვდათვრამეტ წელს (ათასეული, ასეული და ათეულები ერთმანეთისაგან ყალცალკე იწერება).

2. მარტივ რიცხვებს რიგითი ფორმის შაწარმოებელი მე თავში მიემატება, ხოლო რთულს რიცხვით სახელებს — შუაში: მეხუთე, მეათე, მესე, — ღვდამეათე, თხხმღვდამეათე, სამღვდამეთვრამეტე.

ბევრნაწევროვან რიცხვში რიგითი ფორმის საწარმოებლათ მე მხოლოდ უკანასკნელ რიცხვს მიემატება, — მაგალითად: ათას რვაას მესამღვეწელი.

### ნაცვალსახელი.

ვაწო გახარებულია: დედამ მას ახალი ტანი-სამოსი შეუკერა.

ამ მაგალითში მას ნახმარია სახელის (ვანოს) მაგიერ, — ამისთანა სიტყვას ნაცვალსახელი ქვია (რაღვან სახელის ნაცვლად იხმარება).

აი კიდევ ნაცვალსახელები:

მე, შენ, ის; —ჩემი, შენი, მისი; —ვინ? რა? რომელი? ვისი? —ვინმე, რამე, რომელიმე, ვისიმე; —თვით, თვითონ, ყველა, ყოველი.

ნაცვალსახელები შვიდნაირია:

1. ბიროვნებითა: მე, შენ, ის; ჩვენ, თქვენ, ისინი.

2. კუთნიდებითი: ჩემი, შენი, მისი; ჩვენი, თქვენი, მათი.

3. ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, იგი, მაგი (მაგ); ესენი, ისინი, ეგენი, იგინი, მაგინი.

4. კითხვითი: ვინ? რა? რომელი? ვისი?

5. განსაზღვრებითი: ყოველი, ყველა, თვით, თვითონ.

6. განუსაზღვრელითი (წარმოობს კითხვითისგან, —როგორ წარმოობს?): ვინმე, რამე, რომელიმე, ვისიმე; ვილაც, რალაც, რომელილაც, ვისილაც.

7. განმარტებითი: (წარმოობს კითხვითისგან, —როგორ წარმოობს?): ვინც, რაც, რომელიც, ვისიც.

ნაცვალსახელთა ბრუნიბა.

ზოგიერთი ნაცვალსახელი სრულიად არ იძრუნვის, —მაგალითად: თვით, თვითონ, მე, შენ, ჩვენ, თქვენ\*).

\* ) მართული გრამატიკის შემდგენელნი ასე აბრუნებენ პირველისა და მეორე პროს პიროვნებით ნაცვალსახელ ეძღვანებით — ჩემი, შენი, თქვენი; მოქმედებით — ჩემით, შენით, ჩვენით, თქვენით; ვნებითი —

შიროვნებით ნაცვალსახელებში მარტო შესამე  
პირის ნაცვალსახელი იბრუნვის:

შხოლ. რიცხ.

ს. ის, იგი.

ნ. მის

მც. მას

მთ. მან

მქ. მით

ვ. მათ

წ.

მრავლ. რიცხ.

ისინი, იგინი

მათ

მათ

მათ

"

"

"

შ ე ნ ი ჟ ვ ე ბ ი ბ ი ვ ი

1. ნაცვალსახელებს წოდებითი ბრუნვა არ აქვს;  
მხოლოდ მეორე პირის პიროვნებითი ნაცვალსახე-  
ლი იხმარება წოდებითი ბრუნვის მნიშვნელობით:

შენ, აქ მოღი! თქვენ, წიგნი იკითხეთ!

2. მრავლობით რიცხვში ნაცვალსახელები ნი-  
ზე ბოლოვდება — და, მაშასადამე, მოქმედებითი და  
ვნებითი ბრუნვა არ აქვთ.

3. ძუთნიდებითი ნაცვალსახელები ისე იბრუნ-  
ვის, როგორც ი-ზე დაბოლოებული ზედსართავი  
სახელები, მაგრამ მიცემით ბრუნვაში ამ შემთხვევა-  
ში ნაცვალსახელებისგან ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი  
უმჯობესია სრული დაბოლოება:

ჩემს ძმას, შენს თავს, ჩვენს ქვეყანას, თქვენს  
დედ-მამას.

ჩემათ, შენათ, ჩვენათ, თქვენათ. — შველა აქ  
მოყვანილი ფორმა კუთნილებითი ნაცვალსახელის  
ფორმებია, და არა პიროვნებითი ის.

\*\*

მხოლ. რიცხ.

ს. ეს, ეგ . . .  
ნ. ამის . . .  
მც. ამას . . .  
მთ. ამან . . .  
მქ. ამით . . .  
ვ. ამათ . . .  
წ. „ . . .

მრავლ. რიცხ.

ესენი, ეგენი  
ამათ  
ამათ  
ამათ  
„  
„  
„

მხოლ. რიცხ.

ს. ის, იგი . . .  
ნ. იმის . . .  
მც. იმას . . .  
მთ. იმან . . .  
მქ. იმით . . .  
ვ. იმათ . . .  
წ. „ . . .

მრავლ. რიცხ.

ისინი, იგინი  
იმათ  
იმათ  
იმათ  
„  
„  
„

მხოლ. რიცხ.

ს. მაგი . . .  
ნ. მაგის . . .  
მც. მაგას . . .  
მთ. მაგან . . .  
მქ. მაგით . . .  
ვ. მაგათ . . .  
წ. „ . . .

მრავლ. რიცხ.

მაგინი  
მაგათ  
მაგათ  
მაგათ  
„  
„  
„

\*\*

ნაცვალსახელი უგელა (უგელანი) მხოლოდ ერთ

რიცხვში იხმარება (მხოლოდითი რიცხვის დაბოლოებით და მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით):

- ს. ყველა, ყველანი
- ნ. ყველას(ი)
- მც. ყველას
- მთ. ყველაშ
- მქ. ყველათი
- გ. ” |
- ჟ. ” {\*)

ნაცვალსახელი ყოველი ისე იბრუნვის, როგორც ი-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელი.

\*\*

განუსაზღვრელით ნაცვალსახელებში მხოლოდ პირველი ნაწილი იბრუნვის: ეინ, რა, რომელი, გსი, და ბოლოში თითქმის ყველა ბრუნვაში უცვლელათ ემატება მე და ღაც;

ს. ვინმე	რამე	ვიღაც	რაღაც
ნ. ვისიმე	რისამე	ვისიღაც	რისღაც
მც. ვისმე	რასმე	ვიღაცას	რაღაცას.
მთ. ვინმე	რამემ	ვიღაცაშ	რაღაცაშ
მქ. ვისითმე	რითმე	ვისითღაც	რითღაც
გ. რათმე	რათმე	რაღაცათ	რაღაცათ
ჟ. ”	”	”	”

\*) მნებითი პრუნვა არ აქვს; წოდებითში პლ. შაჲბე. გი ხმარობს ფორმას ყველავ: „ჩე მო ყველავ“!

მრავლობით რიცხვში ან სულ არ ხმარობენ, ან იშვიათად იხმარება ფორმები: გინძეები, ჰამეები, გინძეების, ჰამეების, გინძეებს და სხვ.; გიღაცები, ჰაღაცები, გიღაცების, ჰაღაცების, გიღაცებს, ჰაღაცებს, გიღაცებს, ჰაღაცებს, გიღაცებმა და სხვ.

\*\*

განძარცებითი ნაცვალსახელები ისე იბრუნვის, როგორც კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ, რა, რომელი), მხოლოდ ბოლოში ც მიემატება:

ს. ვინც, ვინაც	რაც	რომელიც
ნ. ვისიც	რისაც	რომლისაც
მც. ვისაც	რასაც	რომელსაც
მთ. ვინც, ვინაც,	რამაც	რომელმაც
მქ. ვისითაც	რითაც	რომლითაც
გ. რათაც	რათაც	რომლათაც
დ.      "	"	"

მრავლობით რიცხვში მხოლოდ რომელიც იბრუნვის:

ნათ.	}	რომელთაც	
სახ. რომელნიც,			მიც.
დ. მოთ.			

ამ ნაცვალსახელში მრავლობითი რიცხვის პირველი ფორმა (რომლები, რომლების, რომლებს, რომლებმა, რომლებიც, რომლებისაც, რომლებმაც და სხვ.) არ არის კეთილხმოვანი.

\*

ზოგიერთი ნაცვალსახელი, — მაგალ. ჰამე, გინ-  
მე, ჰადაც, გიდაც, უკელა, — როცა არსებით სახე-  
ლებს ახლავს, ბრუნვებში არ იცვლება.

რაღაც საქმე, რაღაც საქმის, რაღაც საქმეს,  
რაღაც საქმეებს, უკელა საძმემ, გიდაც კაცი, გიდაც  
კაცმა, ჰამე აზრი, ჰამე აზრს, რამე აზრით და სხვ.

ნაცვალსახელებისაგან მს, მზ და ის, იმი, არ-  
სებით სახელებთან ყველა ბრუნვაში (სახელობითს  
გარდა) იხმარება ფორმები აჭ და იმ:

მს (ეგ) კაცი, ამ კაცის, ამ კაცს, ამ კაცმა;  
ეს კაცები, ამ კაცებს, ამ კაცებმა და სხვ.; ის  
(იგი) ქალი, იმ ქალის, იმ ქალს; ის ქალები, იმ  
ქალებს, იმ ქალებმა...

სიტყვები ერთი და იგივე არსებით სახელთან  
ასე იბრუნვის: ერთი და იგივე საქმე, ერთისა და  
იმავე საქმის, ერთსა და იმავე საქმეს, ერთი და  
იგივე საქმეები, ერთსა და იმავე საქმეებს და სხვ.  
(უკანონოთ ხმარობენ: ერთისა და იგივე საქმის,  
ერთსა და იგივე საქმეს და სხვ.).

## არსებითისა და ზედსართავი სახელის ერთად ბრუნვება.

თუ ზედსართავი სახელი პ-ს, ე-ს, ო-სა და  
უ-ზე ბოლოვდება, როცა არსებით სახელთან არის  
შეერთებული, ყოველგან უცვლელათ რჩება, ე. ი.  
არც ბრუნვებში იცვლება და არც რიცხვში:

- ს. ბრძა კაცი  
ნ. ბრძა კაცის  
მც. ბრძა კაცს  
მთ. ბრძა კაცმა  
მქ. ბრძა კაცით  
ვ. ბრძა კაცათ  
წ. ბრძა კაცო!

აბრუნეთ: მოქლე ჯოხი, ფართო მიღორი,  
ტლუ ბიჭი.

\*\*

როცა ზედსართავი სახელი ი-ზეა დაბოლოებული, მხოლოდ სამ ბრუნვაში რჩება უცვლელათ: სახელითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში; დანარჩენ ბრუნვებში კი სცვლის დაბოლოებას. მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვში ზედსართავი სახელი ერთნაირათ იბრუნვის:

- ს. მაღალი მთა  
ნ. მაღალი მთის  
მც. მაღალ მთას  
მთ. მაღალმა მთამ  
მქ. მაღალი მთით  
ვ. მაღალ მთათ  
წ. მაღალო მთაო!

მეორე დაბოლოებით ასე იბრუნვის:

- ს. მაღალი მთანი  
ნ. მაღალ მთათა

- ბრძა კაცები  
ბრძა კაცების  
ბრძა კაცებს  
ბრძა კაცებმა  
ბრძა კაცებით  
ბრძა კაცებათ  
ბრძა კაცებო!

- მაღალი მთები  
მაღალი მთების  
მაღალ მთებს  
მაღალმა მთებმა  
მაღალი მთებით  
მაღალ მთებათ  
მაღალო მთებო!

- მც. მაღალ მთათა  
მთ. მაღალ მთათა  
წ. მაღალო მთანო!

\*\*

ზედსართავი სახელი ცალკე ისე იბრუნვის,  
როგორც არსებითი სახელი:

ს.	თეთრი	თეთრები
ნ.	თეთრის	თეთრების
მც.	თეთრს	თეთრებს
მთ.	თეთრშა	თეთრებშა
მქ.	თეთრით	თეთრებით
პ.	თეთრათ	თეთრებათ
ჭ.	თეთრო!	თეთრებო!

### თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი.

მთაზე თოვლი ძევს, თევზი წყალში ცხოვ-  
რობს, ბავში ღობესთან დგას, ყურდგელი ტყისკენ  
გაიქცა, ძმისგან წერილი მივიღე.

ამ მაგალითებში ზე, ში, თან, კენ, გან არ-  
სებით სახელებს ბოლოში ემატება, თან უდეგს; —  
ამისთანა სიტყვას თანდებული ქვით.

თანდებული სამ ბრუნვას თხოულობს: ნათე-  
საობითსა, მიცემითსა და მოქადებითს.

1. ნათესაობით ბრუნვას თხოულობს: თვის,  
ჭან, დმი, მიერ, მიმართ.

### მაგალითები:

სოფლისგან მივდივარ ჩემი ძმის საქმისთვის; —  
შოტლისადმი მიმართული ლოცვა წროფელი უნდა  
იყოს; — ეს წიგნი მეცნიერის მიერ დაიწერა. — გიორ-  
გიმ გაგზავნა წერილი ქართული შურნალის რედაქ-  
ციის მიმართ.

2 მაცემით ბრუნვს თხოულობს: ზედა, შინა,  
შეს, თან.

მაგალითები:

„მთასა ზედა თაბორისასა ფერი იცვალე შენ,  
უფალო!“ — „მამაო ჩვენო, რომელი ხარ წათა შინა!“  
— „იყავნ ნება შენი, ვითარცა წათა შინა, ეგრეთ  
ცა შეეყნასა ზედა!“ — ძავკასია და ზღვას შეა  
მდებარეობს, — ირემი კლდესთან წაიჭირა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

ა. შინა და ზედა ძველ ენაში იხმარებოდა; ახლანდელ ენაში შემოკლებით იხმარება ზე და ში — და ამ ფორმებთან სახელებს მიცემითი ბრუნვის დაბოლოება აღარ ახლავს: ხეზე, მთაზე, წყალში, ურმიში.

ბ. ბრუნვის დაბოლოება არ იხმარება აგრეთვე ი-ზე დაბოლოებულ სახელებში, როცა მათთან თან-დებული თან დაისმის:

კედელი — კედელთან,  
ბალახი — ბალახთან.

დაბოლოება ამ შემთხვევაში მაშინ მოჩანს, რო-  
ცა სახელი ა, მ, ღ და უ-ზეა დაბოლოებული:

მამა — მამსთან  
ხმ — ხესთან  
რკო — რკოსთან  
ბუ — ბუსთან.

3. მიწემით ბრუნვას თხოულობს აგრეთვე ჭმნისართია-თანდებულები: აქით, იქით, გაღმა, გა- მოღმა, ზევით, ქვეშ, უკან და სხვ., — მაგალითად: მთას იქით, ფას ქვეშ, ჭრის ქვეშ, წყალს გაღმა, გზას ზევით.

\*

3. თანდებული გარდა და შემდეგ, თუ წინ ზის, ნათესაობით ბრუნვას თხოულობს, და თუ უკან ზის, — მიწემითს:

გარდა ამისა, შემდეგ ამისა, გარდა ამ საქმი- სა, შემდეგ ამ საქმის გათავებისა, — ან:

ამას გარდა, ამას შემდეგ, ამ საქმეს გარდა, ამ საქმის გათავებას შემდეგ.

\*

4. თანდებული გან კითხვაზე გისგან ან რის- გან ნათესაობით ბრუნვას თხოულობს, კითხვაზე საიდან კი — მოქმედებით ბრუნვას:

შე მმისგან მივიღე წერილი (გისგან მივიღე?); ეს სახლი სილამაზით ძალიან გაირჩევა სხვა სახლე- ბისაგან (რისგან გაირჩევა?); — მე თფილისითგან (ახლა უნდა ფორმა თფილისიდან) მოვდივარ (კითხვა: სა- დან მოვდივარ? (მამა-შენი სოფლითგან (==სოფ- ლიდან) დაბრუნდა (კითხვა: სადან დაბრუნდა?).

### შ მ 6 0 შ 3 6 5.

ზოგიერთი თანდებული სახელებს ბოლოშისულ უერთდება (თვის, პენ, გან, დმი, ში, ზე), ზოგი კი

ცალკე დაისმის (მიმართ, მიტ, გარდა, შემდებ, შუა, შორის, წინ, ქვეშ, გაღმა, გამოღმა და სხვ.).

### მაგალითები:

საქმისთვის, სახლისკენ, ძმისგან, ლვისადმი, წყალში, მთაზე; უფლისა მიმართ, ლვისა მიერ, ამას გარდა, ამას შემდეგ, მთებს შუა, ქალაქებს შორის, სახლის წინ, ცას ქვეშ, წყალს ყალმა.

### გ მ ნ ი ს ა რ თ ი.

ბავში წყნარათ ზის, პერიკაცი ნელა მიღის, შაშვი ტკბილათ გალობს, მასწავლებელი ხმამაღლა ლაპარაკობს.

მოყვანილ მაგალითებში სიტყვები: წყნარათ, ნელა, ტკბილათ, ხმამაღლა—მოქმედების თვისებას გვიჩვენებს (როგორ ზის? როგორ გალობს? და სხვ.); ამისთანა სიტყვა ყოველთვის ზმნას ახლავს, ზმნას დაერთვის—და ამიტომ ზმნისართი ეწოდება.

### ზმნისართები ხუთგვარია:

1. ღროის მაჩვენებელი: დღეს, ხელ, შარშან, წრეულს, დილას, საღამოს და სხვ.;

2. ადგილის მაჩვენებელი: აქ, იქ, გაღმა, გამოღმა, ზევით, ქვევით, მაღლა, მირს, შეგნით, გარეთ და სხვ.;

3. ვითარების მაჩვენებელი: ჩქარა, ნელა, ხმამაღლა;—უფრო ხშირათ—მოქმედებითისა და ვნებითი ბრუნვების ფორმები: სიცილით, ტირილით,

წერომით, — ქვეითად, ცხვიტათ, უზმათ, წენარად,  
ჩუმათ, მტრულათ, ფარულათ და სხვ.);

4. მაზეზის მაჩვენებელი: რატომ? რათა? იმა-  
ტომ, ამიტომ;

5. მიზნის მაჩვენებელი: რისთვის? ამისთვის,  
იმისთვის.

### კ ა ვ შ ი რ ი

გიორგი და ლეონი კარგათ სწავლობენ. —

შველამ იცის, რომ სწავლა საჭიროა. —

ძუბაში ტალახია, რადგან გუშინ წყიმდა. —

როცა კარგათ მოემზადები, კლასში შეგიყვან. —

თუ კარგათ ისწავლი, სასარგებლო კაცი გა-  
მოხვალ. —

სიტყვა და აკავშირებს ერთმანეთთან სახელებს  
(გიორგი და ლეონი); — სიტყვები რომ, რადგან,  
როცა, თუ — აკავშირებს (აბაში) ერთმანეთთან სხვა-  
დასხვა აზრს; — ამისთანა სიტყვას გრამატიკაში კავ-  
შირი ეწოდება.

### შ ი რ ი ს დ ე ბ უ ლ ი

ოს, ლერთო ჩუმო!

ჰე, ბიჭებო, დავტრიალდეთ!

ჰოპ, ჰოპ! ჰერი, ჰერი!

ჩუ, გამოხტა ავერ წყერი!

ოს, ჸე, ჸობ, ჸერი, ჩუ — აისთანა სიტყვები  
გვიხატავს სულის სხვადასხვანაირ მოძრაობას: ზოგი

მწუხარებას, ზოგი ალტაცებას, სიხარულს, გაკვირვებას.—ამისთანა სიტყვებს გრამატიკაში შორისდებული ეწოდება.

### ზ მ ნ ა.

**ბავშვა წიგნი წიიკითხა.**

ამ მაგალითში სიტყვა წაიკითხა მოქმედებას გვიჩვენებს;—მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას ზმნა ეწოდება.

**მაგალითები:** მე ვსწერ, ჩვენ ვკითხულობთ, თქვენ ლაპარაკობთ, ის ხატავს, ისინი ხატვენ და სხვ.

### გ ვ ა რ ი.

**ზმნა სამგვარია:** მოქმედებითი გვარის, საშალდე გვარისა და ვნებითი გვარის.

**ბაგში წიგნს კითხულობს;**—ამ მაგალითში ბაგში არის სასაუბრო საგანი, წიგნი არის საგანი, რომელზედაც ბავშის მოქმედება პირდაპირ გადადის;-- მათხულობს არის მოქმედებითი გვარის ზმნა.

**მოქმედებითი გვარის ზმნა გვიჩვენებს,** რომ სასაუბრო საგანი თვით მოქმედობს და ეს მოქმედება სხვა საგანზე პირდაპირ გადადის.

\*

**წიგნი იკითხვის ბაგშისაგან;**—ამ მაგალითში იკითხვის არის ვნებითი გვარის ზმნა.

ვნებითი გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ სასა-  
უბრო საგანი (წიგნი) ოვით კრ არ მოქმედობს,  
არამედ გარეშე საგანი (ბაჭყალი) მოქმედობს მაზე.

\* \*

ბავში დადის; — ამ მაგალითში დადის არის  
საშვალო გვარის ზმნა.

საშვალო გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ სასა-  
უბრო საგანი (ბავში) ოვითონ მოქმედობს და ეს  
მოქმედება იმავე საგანში რჩება, სხვაზე არ გადა-  
დის.

### ს ა ხ ვ.

ზმნას ორი სახე აქვს: უსრული და სრული.

უსრული სახე ნიშნავს, რომ მოქმედება არ  
შესრულებულია, — მაგალ. მე ვსწერდი, შენ იგივთხე,  
მას უშენებია.

სრული სახე ნიშნავს, რომ მოქმედება შესრუ-  
ლებულია: — მე დავსწერე, შენ წაიგითხე, მას აუშე-  
ნებია.

### შ მ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

1. უსრული სახის ზმნები უმეტეს ნაწილათ  
უთავსართოა (ვსწერ, ვკითხულობ, ვაშენებ), სრუ-  
ლი სახის კი — თავსართიანი (დავსწერე, წავიკითხე,  
ავაშენე).

2. ზოგჯერ უთავსართო ზმნას სრული სახის  
მნიშვნელობა აქვს: მე ვისადიღე, მე ვინადირე, ჩვენ

გიშავნეთ, ჩვენ გაჩემეთ და სხვ.; — აგრეთვე თავ-  
სართიან ზმნას ხშირათ უსრული სახის მნიშვნელობა  
ეძლევა: მიმაქვს, მამეავს, დავსერწნობ, გაგეოგა,  
შეგვურებ და სხვ.

3. სრული სახის თავსართიან ზმნებს აწმყო  
ღრო არ აქვს.

### პ ი ლ ო.

ზმნას მიმოხრაში სხვადასხვა ფორმით სხვა-  
დასხვა ხასიათი ეძლევა ან სხვადასხვა კილო: ზოგ  
ფორმას ბმანების კილო აქვს, — მაგალითად: სწერე!  
ნუ სწერ! აռ სწერო! — ზოგ ფორმას მოთხოვთის  
ხასიათი აქვს და ნამდვილათ მომხთარ გარემოებას  
გვიჩვენებს, — მაგალითად: მე წავიკითხე წიგნი და  
მერე ამხანაგს გადავეცი; ზოგი ფორმა ნატგრას  
აღნიშნავს, — მაგალითად: ნეტა კარგათ დამეწერა  
თხზულება! ნეტავი შენ კარგათ სწავლობდე! — ზოგი  
შირდას აღნიშნავს, — მაგალითად: ფული რო მქო-  
ნოდა, სიამოვნებით მოგცემდი.

\*

მოთხოვთი კილოში ხუთი ღროა:

აწმულ (რას ვშვრები?): ვსწერ, ვკითხულობ\*).

სამი ნამერა: ა) ნამერა I (რას ვშვრებოდი?):

ვსწერდი, ვკითხულობდი.

ბ) ნამერა II (რა ვძენი?): ვსწერე,

ვიკითხე.

\*.) ქველა პირში და ორივე რიცხვში მიმოხარეთ.

გ) ნამეო III (რა მიქნია?): მიწე-  
რია, მიკითხავს.

მუღლადი (რას ვიზამ?): ვსწერ, ვიკითხავ.

\*

ნატვრით პილოშიც ხუთი დროა:

აწმუო (რას უნდა ვშვრებოდე?): ვსწერდე,  
ვკითხულობდე.

ორი ნამეო: ა) ნამეო I (რა უნდა მექნა?):  
მეწერა, მეკრთხა.

ბ) ნამეო II (რა უნდა მექნას?):  
მეწეროს, მეკითხოს.

ორი მუღლადი: ა) მუღლადი I (რას ვიზამდე?):  
ვსწერდე, ვიკითხავდე.

ბ) მუღლადი II (რა უნდა ვქნა?):  
ვსწერო, ვიკითხო.

\*

პირობით პილოს მარტო ერთი დრო აქვს:  
ნამეო დჟო (რას ვიზამდი?): ვსწერდი; ვიკით-  
ხავდი (დავსწერდი, წავიკითხავდი).

\*

ბძანებითი პილო ორგვარია: დამტკიცებითი  
და ურთებულებითი.

დამტკიცებითი: სწერე! სწეროს! ვსწეროთ!  
სწერეთ! სწერონ!

უარებულებითი I: ნუ სწერ! ნუ სწერს! ნუ  
ვსწერთ! ნუ სწერთ! ნუ სწერენ!

უარეთფითი II: არ სწერო! არ სწეროს! არ  
ვსწეროთ! არ სწეროთ! არ სწერონ!

\*

ზმნის დასაწყის ფორმას სახელზმნა ეწოდება:  
წერა, კითხვა, შენება.

სახელზმნას იმიტომ უწოდებენ, რომ ამ ფორ-  
მას არსებითი სახელის მნიშვნელობაც აქვს და ზმნი-  
საც, სახელიც არის და ზმნაც. როგორც სახელი,  
ეს ფორმა იბრუნვის,—მაგალითად:

სახ. წერა	მოთ. წერამ
ნათ. წერის	მოქმ. წერით
მიც. წერას	გნებ. წერათ

როგორც ზმნა, ის მიმოიხრის,—მაგალითზე:  
მე ვსწერ, შენ სწერ, ისა სწერს, მე ვსწერდი, შენ  
სწერდი და სხვ.

### მ ი მ რ ხ ა.

ზმნა მიმოიხრის, ე. ი. სცვლის დაბოლოებას  
პირებსა და ღროებში.

### პ ი რ ხ.

პინც ლაპარაკობს, ის არის პირველი პირი:  
მე გსწერ, ჩვენ ვსწერთ;  
მე გვითხულობ, ჩვენ გვითხულობთ;  
პისაც ელაპარაკებიან, ის არის მეორე პირი:

გ) ნამეო III (რა მიქნია?): მიწე  
რია, მიკითხავს.

მუღლადი (რას ვიზამ?): ვსწერ, ვიკითხავ.

\*

ნატვრით პილოჭიც ხუთი დროა:

აწმუო (რას უნდა ვშვრებოდე?): ვსწერდე,  
ვკითხულობდე.

ორი ნამეო: ა) ნამეო I (რა უნდა მექნა?):  
მეწერა, მეკითხა.

ბ) ნამეო II (რა უნდა მექნას?):  
მეწეროს, მეკითხოს.

ორი მუღლადი: ა) მუღლადი I (რას ვიზამდე?):  
ვსწერდე, ვიკითხავდე.

ბ) მუღლადი II (რა უნდა ვქნა?):  
ვსწერო, ვიკითხო.

\*

პირობით პილოს მარტო ერთი დრო აქვს:  
ნამეო დოლ (რას ვიზამდი?): ვსწერდი; ვიკით-  
ხავდი (დავსწერდი, წავიკითხავდი).

\*

ბძანებითი პილო ორგვარია: დამტკიცებითი  
და ურყოფითი.

დამტკიცებითი: სწერე! სწეროს! ვსწეროთ!  
სწერეთ! სწერონ!

შარებითი I: ნუ სწერ! ნუ სწერს! ნუ  
ვსწერთ! ნუ სწერთ! ნუ სწერენ!

უარეფლითთ II: არ სწერო! არ სწეროს! არ  
ვსწეროთ! არ სწეროთ! არ სწერონ!

\*

ზმნის დასაწყის ფორმას სახელზმნა ეწოდება:  
წერა, კითხვა, შენება.

სახელზმნას იმიტომ უწოდებენ, რომ ამ ფორ-  
მას არსებითი სახელის მნიშვნელობაც აქვს და ზმნი-  
საც, სახელიც არის და ზმნაც. როგორც სახელი,  
ეს ფორმა იბრუნვის,—მაგალითად:

ხახ. წერა	მოთ. წერამ
ნათ. წერის	მოქმ. წერით
მიც. წერას	ვნებ. წერათ

როგორც ზმნა, ის მიმოიხრის,—მაგალითზდა:  
მე ვსწერ, შენ სწერ, ისა სწერს, მე ვსწერდი, შენ  
სწერდი და სხვ.

### მ ი მ ღ ს რ ა.

ზმნა მიმოიხრის, ე. ი. სკვლის დაბოლოებას  
პირებსა და დროებში.

### პ ი რ ი.

ვინც ლაპარაკობს, ის არის შირველი შირი:  
მე გსწერ, ჩვენ ვსწერთ;  
მე ვგათხულობ, ჩვენ ვგითხულობთ;  
ვისაც ელაპარაკებიან, ის არის მეღრე შირი:

შენ სწერ, თქვენ სწერთ;  
 შენ კითხულობ, თქვენ კითხულობთ;  
 შიზედაც ლაპარაკობენ, ის არის მესამე შილი:  
 ისა სწერს, ისინი სწერენ;  
 ის კითხულობს, ისინი კითხულობენ.

\*\*

### ღ რ მ.

მიმოხრაში სამი დრო გაირჩევა: აწმეო, ნა-  
 მეო და მულფადი.

1. აწმეო, ე. ი. ახლანდელი დრო; — აწმეო  
 დროის კითხვებია:

რას ვშეტები? რას უნდა ვშეტებოდე?

რას ვშვრები მე? — მე ვსწერ

რას შვრები შენ? — შენ სწერ

რას შვრება ის? — ისა სწერს

რას ვშვრებით ჩვენ? — ჩვენ ვსწერთ

რას შვრებით თქვენ? — თქვენ სწერთ

რას შვრებიან ისინი? — ისინი სწერენ

მე რას უნდა ვშვრებოდე? — მე უნდა ვსწერდე  
 შენ რას უნდა შვრებოდე? — შენ უნდა სწერდე  
 ის რას უნდა შვრებოდეს? — ის უნდა სწერდეს  
 ჩვენ რას უნდა ვშვრებოდეთ? — ჩვენ უნდა ვსწერდეთ  
 თქვენ რას უნდა შვრებოდეთ? — თქვენ უნდა სწერდეთ  
 ისინი რას უნდა შვრებოდენ? — ისინი უნდა სწერდენ

2. ნამეო, ე. ი. წასული დრო; — ნამეო დრო-  
 ის კითხვებია:

რას გშერებოდი? რა ვქენი?  
 რა მიქნა? რა უნდა მექნა?  
 რა უნდა მექნას? რას გიზამდი?

მე რას ვშერებოდი? — მე გსწერდი  
 შენ რას შერებოდი? — შენ სწერდი  
 ის რას შერებოდა? — ისა სწერდა  
 ჩვენ რას ვშერებოდით? — ჩვენ ვსწერდით  
 თქვენ რას შერებოდით? — თქვენ სწერდით  
 ისინი რას შერებოდენ? — ისინი სწერდენ.

მე რა ვქენი? — მე ვსწერე (დავსწერე)  
 შენ რა ქენი? — შენ სწერე (დასწერე).  
 მან რა ქნა? — მან სწერა (დასწერა)  
 ჩვენ რა ვქენით? — ჩვენ ვსწერეთ (დავსწერეთ)  
 თქვენ რა ქენით? — თქვენ სწერეთ (დასწერეთ)  
 მათ რა ქნეს? — მათ სწერეს (დასწერეს).

მე რა მიქნა? — მე მიწერია (დამიწერია)  
 შენ რა გიქნია? — შენ გიწერია (დაგიწერია)  
 მას რა უქნია? — მას უწერია (დაუწერია).  
 ჩვენ რა გვიქნია? — ჩვენ გვიწერია (დაგვიწერია)  
 თქვენ რა გიქნიათ? — თქვენ გიწერიათ (დაგიწერიათ)  
 მათ რა უქნიათ? — მათ უწერიათ (დაუწერიათ).

მე რა უნდა მექნა? — მე უნდა მეწერა (დამეწერა)  
 შენ რა უნდა გექნა? — შენ უნდა გეწერა (დაგეწერა)  
 მას რა უნდა ექნა? — მას უნდა ეწერა (დაეწერა)  
 ჩვენ რა უნდა გვექნა?  
 — ჩვენ უნდა გვეწერა (დაგვეწერა)

თქვენ რა უნდა გეჭნათ?

— თქვენ უნდა გეწერათ (დაგეწერათ)

მათ რა უნდა ეჭნათ?

— მათ უნდა ეწერათ (დაეწერათ).

მე რა უნდა მეჭნას? — მე უნდა მეწეროს (დამეწეროს)

შენ რა უნდა გეჭნას?

— შენ უნდა გეწეროს (დაგეწეროს)

მას რა უნდა ეჭნას? — მას უნდა ეწეროს (დაეწეროს)

ჩვენ რა უნდა გვეჭნას?

— ჩვენ უნდა გვეწეროს (დაგვეწეროს)

თქვენ რა უნდა გეჭნასთ?

— თქვენ უნდა გეწეროსთ (დაგეწეროსთ)

მათ რა უნდა ეჭნასთ?

— მათ უნდა ეწეროსთ (დაეწეროსთ).

მე რას ვიზამდი? — მე ვსწერდი (დავსწერდი)

შენ რას იზამდი? — შენ სწერდი (ზასწერდი)

ის რას იზამდა? — ის სწერდა (დასწერდა)

ჩვენ რას ვიზამდოთ? — ჩვენ ვსწერდით (დავსწერდით)

თქვენ რას იზამდით? — თქვენ სწერდით (დასწერდით)

ისინი რას იზამდენ? — ისინი სწერდენ (დასწერდენ)

ვ. მულტადი, ე. ი. მომავალი დრო; — მულტადი  
დროთის კითხვებია:

რას გაზამ? რას გაზამდე? რა უნდა გჭნა?

მე რას ვიზამ? — მე გსწერ (დავსწერ)

შენ რას იზამ? — შენ სწერ (დასწერ)

ის რას იზამს? — ის სწერს (დასწერს)

ჩვენ რას ვიზამთ? — ჩვენ გსწერთ (დავსწერთ)

თქვენ რას იზამთ? — თქვენ სწერთ (დასწერთ)

ისინი რას იზმენ? — ისინი სწერენ (დასწერენ).

მე რას ვიზამდე? — მე გსწერდე (დავსწერდე)

შენ რას იზამდე? — შენ სწერდე (დასწერდე)

ის რას იზამდეს? — ის სწერდეს (დასწერდეს)

ჩვენ რას ვიზამდეთ? — ჩვენ გსწერდეთ (დავსწერდეთ)

თქვენ რას იზამდეთ? — თქვენ სწერდეთ (დასწერდეთ)

ისინი რას იზამდენ? — ისინი სწერდენ (დასწერდენ).

მე რა უნდა ვქნა? — მე უნდა გსწერო (დავსწერო)

შენ რა უნდა ქნა? — შენ უნდა სწერო (დასწერო)

მან რა უნდა ქნა? — მან უნდა სწეროს (დასწეროს)

ჩვენ რა უნდა ვქნათ?

— ჩვენ უნდა გსწეროთ (დავსწეროთ)

თქვნ რა უნდა ქნათ?

— თქვენ უნდა სწეროთ (დასწეროთ)

მათ რა უნდა ქნან? — მათ უნდა სწერონ (დასწერონ).

\*

### ბძანებითი კილო:

1. დამტკიცებითი: სწერე, იკითხე! სწეროს,  
იკითხოს! ვსწეროთ, ვიკითხოთ! სწერეთ, იკითხეთ!  
სწერონ იკითხონ!

2. უარესოფითი: ნუ სწერ, ნუ კითხუ-  
ლობ! ნუ სწერს, ნუ კითხულობს! ნუ ვსწერთ, ნუ  
ვკითხულობთ! ნუ სწერენ, ნუ კითხულობენ! არ

სწერო, არ იკითხო! არ სწეროს, არ იკითხოს! არ  
ვსწეროთ, არ ვიკითხოთ! არ სწეროთ, არ იკითხოთ!  
არ სწერონ, არ იკითხონ!

მართულ ენაში თრგვარი მიმოხინა.

შირგელ მიმოხინას ის ზმნები ექუთნის, რო-  
მელიც აწმყო დროში პირველ პირში ვ-ით იწყება:  
მე ვაშენებ, ვსწერ, ვკითხულობ, ვხატავ; მე ვუ-  
წერ, ვუშენებ, ვუკითხავ.

მეორე მიმოხინას ის ზმნები ექუთნის, რომე-  
ლიც აწმყო დროში მ-ით იწყება: მიყვარს, მიხარია,  
მწამს, მესმის, მეხარება.

მეორე მიმოხინის ზმნა განსხვავებულათ მიმო-  
ხინის.— ავილოთ მაგალითად ზმნა მიუვარს:

### ა წ მ ე უ ო დ ო ო.

რას ვშვრები?— მე მიუვარს (შენ გიყვარს, მას  
უყვარს; ჩვენ გვიყვარს, თქვენ გიყვართ,  
მათ უყვართ).

რას უნდა ვშვრებოდე?— მე უნდა მიუვარდეს  
(შენ გიყვარდეს, მას უყვარდეს; ჩვენ გვი-  
ყვარდეს, თქვენ გიყვარდესთ, მათ უყვარ-  
დესთ).

### ნ ა მ ე უ ო დ ო ო.

რას ვშვრებოდი?— მე მიუვარდა (შენ გიყვარდა,  
მას უყვარდა; ჩვენ გვიყვარდა, თქვენ გი-  
ყვარდათ, მათ უყვარდათ).

- რა ვქენი? — მე შემიეგაოდა (შენ შეგიყვარდა, მას შეუყვარდა; ჩვენ შეგვიყვარდა; თქვენ შეგიყვარდათ, მათ შეუყვარდათ),
- რა მიქნია? — მე მეგარებია (შენ გყვარებია, მას ყვარებია; ჩვენ გვყვარებია, თქვენ გყვარებიათ, მათ ყვარებიათ).
- რა უნდა მექნა? — მე უნდა მეგარებოდა (შენ გყვარებოდა, მას ყვარებოდა; ჩვენ გვყვარებოდა, თქვენ გყვარებოდათ, მათ ყვარებოდათ).
- რა უნდა მექნას? — შე უნდა მეგარებოდეს (შენ გყვარებოდეს, მას ყვარებოდეს, ჩვენ გვყვარებოდეს, თქვენ გყვარებოდესთ, მათ ყვარებოდესთ).
- რას ვიზამდი? — მე მეყვარებოდა (შენ გეყვარებოდა, მას ეყვარება; ჩვენ გვეყვარება, თქვენ გეყვარებათ, მათ ეყვარებოდათ).

### მ ყ თ ფ ა დ ი დ რ ა.

- რას ვიზამ? — მე მეეგარება (შენ გეყვარება, მას ეყვარება; ჩვენ გვეყვარება, თქვენ გეყვარებათ, მათ ეყვარებათ).
- რას ვიზამდე? — მე მეეგარებოდეს (შენ გეყვარებოდეს, მას ეყვარებოდეს; ჩვენ გვეყვარებოდეს, თქვენ გეყვარებოდესთ, მათ ეყვარებოდესთ).

რა უნდა ვქნა? — მე უნდა მეუვაროს (შენ გე-  
ყვაროს, მეს ეყვაროს; ჩვენ გვეყვაროს,  
თქვენ გეყვაროსთ, მათ ეყვაროსთ; ან  
შემიყვარდეს, შეგიყვარდეს, შეუყვარდეს  
და სხვ.).

---

### თ ა ვ ს ა რ თ ე ბ ი.

ზმნებს თავში სხვადასხვა ნაწილაკი დაერთვის:  
სახლი პეტენე, საქმე გავაკეთეთ, წერილი და-  
ვსწერე, წიგნი შავიკითხეთ, ბავშები კლასში შევიდენ,  
კაცს ტვირთი მიაქვს, მამა-ჩემმა ფული მომცა.

ა, გა, და, წა, შე, მი, მო არის თავსართები.

ახალ ენაში უფრო ხშირათ მოვალე თავსარ-  
თები იხმარება (ა, გა, წა, ჩა,), ძველ ენაში კი სრუ-  
ლი თავსართები იხმარებოდა: აღ, გან, წარ, შთა, —  
მაგალითად: აღვასრულე, განვათავისუფლე, წარვი-  
და, შთავიდა (ახლა ვიტყვით: ავასრულე, გავათა-  
ვისუფლე, წავიდა, ჩავიდა).

ზოგჯერ ახალ ენაშიც იხმარება სრული თავ-  
სართები: აღმითქვა, აღიჭურვა, განცვიფრდა, გან-  
ბორციელდა, წარსდგა, წარმოადგინეს.

---

### მ ი მ ღ ე რ ბ ა.

ზმნისგან კეთდება ერთვარი ფორმა, რომე-  
ლიც ზედსართავ სახელსა გავს:

მწერელი (დამწერელი, დამწერი), დაწერილი,  
დანაწერი, საწერი (დასაწერი); — მკითხველი (წამკითხ-  
ველი), საკითხავი (წასაკითხავი); — მკეთებელი (გა-  
მკეთებელი), გაკეთებული, განაკეთები, საკეთებელი  
(გასაკეთებელი).

ამისთანა ფორმას მიმღეობა ქვია.

### შემოწმობითი ზრდის მიმოხსრა.

ზრდა „მე გარ“ ბევრ სხვა ზრნას ეხმარება, ეწევა  
მიმოხსრაში (მაგალითად: ვზივარ, ვწევარ, ვდგავარ,  
ვზიგართ, ვწევართ, დამჯდარეარ, დაწოლილეარ,  
გაქცეულეარ, გაქცეულხარ, გაქცეულებართ და სხვ. —  
და ამიტომ შემწეობითი ზრნა ეწოდება.

### მოთხრობითი კილო.

აწმეთ (რას ვშვრები?)	ნაძეთ I (რას ვშვრებოდი?)
მე ვარ	მე ვიყავ(ი)
შენ ხარ	შინ იყავ(ი)
ის არის*	ის იყო
ჩვენ ვართ	ჩვენ ვიყავით
თქვენ ხართ	თქვენ იყავით
ისინი არიან**)	ისინი იყვენ.

\*) მოკლეთ არს, ა („არა რა არს უსაშველო“);  
„ხოტყვა სიტყვა“ ა (=სტყვა არის), საჭმე კი ს ხვაა“  
(=სხვა არის).

\*\*) მოკლეთ ან, მაგალ. ისინი მოსულან (=მო-  
სულ არიან).

ნამეო II (რა ვქენი?)

მე ვიქენ(ი)  
შენ იქენ(ი)  
ის იქნა  
ჩვენ ვიქენით  
თქვენ იქენით  
ისინი იქნენ.

ნამეო III (რა მიქნია?)

მე ყოფილვარ  
შენ ყოფილხარ  
ის ყოფილა  
ჩვენ ყოფილვართ  
თქვენ ყოფილხართ  
ისინი ყოფილან.

მეფეფადი (რას ეიზამ?).

მე ვიქნები  
შენ იქნები  
ის იქნება

ჩვენ ვიქნებით  
თქვენ იქნებით  
ისინი იქნებიან.

ნატვრითი კილო.

აწმეო (რას უნდა ვშვრებოდე?)

მე ვიყო  
შენ იყო  
ის იყოს

ჩვენ ვიყოთ  
თქვენ იყოთ  
ისინი იყონ.

ნამეო I (რა უნდა მექნა?) ნამეო II (რა უნდა მექნას?)

მე ყოფილვიყავ -  
შენ ყოფილიყავ  
ის ყოფილიყო  
ჩვენ ყოფილვიყავით  
თქვენ ყოფილიყავით  
ისინი ყოფილიყვენ.

მე ყოფილვიყო  
შენ ყოფილიყო  
ის ყოფილიყოს  
ჩვენ ყოფილვიყოთ  
თქვენ ყოფილიყოთ  
ისინი ყოფილიყონ.

მეფეფადი I (რას ვიზამდე?) მეფეფადი II (რა უნდა ვქნა?)

მე ვიქნებოდე  
შენ იქნებოდე

მე ვიქნე  
შენ იქნე

ის იქნებოდეს  
ჩვენ ვიქნებოდეთ  
თქვენ იქნებოდეთ  
ისინი იქნებოდენ.

ის იქნეს  
ჩვენ ვიქნეთ  
თქვენ იქნეთ  
ისინი იქნენ.

### პირობითი კილო.

ნამეო (რას ვიზამდი?)

გე ვიქნებოდი  
შენ იქნებოდი  
ის იქნებოდა

ჩვენ ვიქნებოდით  
თქვენ იქნებოდით  
ისინი იქნებოდენ.

### ბძანებითი კილო.

დამტკიცებითი ფორმა.

ა წ მ ე ღ .

მ ე ღ ფ ს დ ღ .

(ვიყო)	ვიყოთ!	(ვიქნე)?	ვიქნეთ!
იყავ(ი)!	იყავით!	იქნენ(ი)!	იქნენით!
იყოს!	იყონ!	იქნეს!	იქნენ!

შარყოფითი პირველი.

ა წ მ ე ღ .

მ ე ღ ფ ს დ ღ .

(ნუ ვარ!)	ნუ ვართ!	(ნუ ვიქნები)!!	ნუ ვიქნებით!
ნუ ხარ!	ნუ ხართ!	ნუ იქნები!	ნუ იქნებით!
ნუ არის!	ნუ არიან!	ნუ იქნება!	ნუ იქნებიან!

შარყოფითი მეორე.

ა წ მ ე ღ.

მ ე ღ ფ ს დ ი.

(არ ვიყო!)	არ ვიყოთ!	(არ ვიქნე!	არ ვიქნეთ!
არ იყო!	არ იყოთ!	არ იქნე!	არ იქნეთ!
არ იყოს!	არ იყონ!	არ იქნეს!	არ იქნენ!

მ ი მ ღ ე ღ ბ ა.

აწმეთ

ნ ა მ ე ღ

მ ე ღ ფ ს დ ი.

მყოფი

ნამყოფი, ყოფილი

სამყოფი, მყოფადი.

ჭ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა.

რაიმე აზრს ჩვენ გამოვსთქვამთ სიტყვების სა-  
შვალებით:

განო კარგათ სწავლაბს.

ამ ყმაწვილს კარგი ყოფაქცევა აქვს.

ღედას შვილი უყვარს.

ცალკე გამოთქმულს თითოეულ აზრს გრამა-  
ტიკაში წინადადება ქვია.

\*

წინადადების შესადგენათ უმთავრესათ ორი ნა-  
წილია საჭირო: ერთი—საგანი, რომელსაც ჩვენი  
საუბარი შეეხება; ამისთანა ნაწილს ქვემდებარე ქვია;  
მეორე—მოქმედება, რომელიც ქვემდებარეს შეეხება;  
ამისთანა ნაწილს შემასმენელი ეწოდება.

ბაგში წიგნს კითხულობს.

ამ წინადადებაში ქვემდებარე არის ბაგში, შემასმენელი—კითხულობს.

\*\*

ქვემდებარე ქართულ ენაში სამ ბორცვაში დაისმის: სახელობითსა, მიცემითსა და მოთხრობითში:

მამა ოჯახს უვლის.

ღედას შვილები უყვარს.

ბაგშია წერილი დასწერა.

\*

ჩვემდებარესა და შემასმენელს წინადადების უმთავრესი ნაწილები ქვია.

წინადადებას სხვა ნაწილებიც აქვს, რომელსაც მეორე ხარისხის ნაწილები ეწოდება.

მეორე ხარისხის ნაწილები სამგვარია: დამატება, განსაზღვრება და გარემოება.

\*

1. დამატება არის სიტყვა, რომელიც ზმნას (შემასმენელს) დაერთვის, დაემატება აზრის შესავსებათ.

დამატების კითხვებია: რა? რის? რას? რით?  
რათ? გან? გასა? გის? გისათ?

მაგალითები:

ბავშებმა წიგნები წაიკითხეს.

გულად მეომარს სიკვდილის არ ეშინია.

მართველები მამულსა ჲ სარწმუნოებას „კავლენ.  
ხე წალდით გასხვპეს.

შიცარი შეშათ ვიხმარეთ.

მოსწავლეს უყვარს მასწავლებლი.

შვილს დედ-მამის ერიდება.

პატივი ეც მამასა და დედას!

\*

2. განსაზღვრება არის სიტყვა, რომელიც საზღვ-  
რავს, განმარტავს უმეტესათ ქვემდებარესა და და-  
მატებას.

განსაზღვრებას კითხვებია: როგორი? რომე-  
ლი? რამდენი? მერამდენე? სადაური? როდინდეჭი?  
გისა? რის?

მაგალითები:

ავი შვილი დედ-მამის მაგინებელია.

მს ბავში კარგათ სწავლობს.

ასი (ჯოხი) დამკარ, ერთი (სიტყვა) მათქმევინეო  
ქორე ბირჟელი მოსწავლეა, ანდრო კი მეორე.  
საქართველოში კახური ლვინოა ნაქები.

შარქანდელ წელიწაცს ვერ დავემდურებით.

მოსწავლის სიმდიდრე სწავლაა.

მუანვარის წვერზე მუდამ თოვლი ძევს.

\*

3. გარემოება არის სიტყვა, რომელიც გვი-  
ჩვენებს, რა გარემოებაში (რა მდგომარეობაში) არის  
რომელიმე საგანი.

ბარემოება ხუთნაირია: ადგილის, დროის, მა-  
ზეზის, მიზნის და კითხვების.

ადგილის გარემოების კითხვებია: სად? საით?  
საითქენ? საიდან? სადამდი?

მაგალითები:

თევზი წყალში არ დაფასდებაო.

მს ვაჭარი თფილისს მიღის, იქიდან სპარსე-  
აისკენ გაემგზავრება.

გემი ინგლისიდან ბათომს მოღის.

ასე იარე მცხეთამდი, მცხეთაში გაგივაკლება.

\*

ღრუის გარემოების კითხვებია: როდის? რა  
დროს? რა დროიდან? როდემდი? რა დრომდი?

მაგალითები:

ბუშის დილიდან საღამომდი იწვიმა, ბინდისას  
გამოიღარა.

ჩართველი ხალხი მეოთხე საუკუნეში გაქრის-  
ტიანდა.

საქართველოს უძველესი დროიდანვე მტრები  
ესეოდენ.

\*

მიზეზის გარემოების კითხვებია: რატომ?  
რათა? რის გამო? რა მიზეზით? რით?

მაგალითები:

მდინარე ხშირი წეიმების გამო ძლიერ გადიდდა.  
სანდრო სწავლაში სიზარმაცით დაბრკოლდა,

მიშო კი—ზეათმეუღლებით.

ქაკო, რათ (რატომ) არ იტყვი მართალს?

\*

მიზნის გარემოების კითხვებია: რასთვის?  
რა მიზნით?

მაგალითები:

ჯარები საომრათ იკრიბებიან.

ბეჭითი მოსწავლე სწავლისთვის დაღის შეკ-  
ლაში, ზარმაცი კი—სათამაშოთ.

\*

ვითარების გარემოების კითხვებია: როგორ?  
რაგვარათ? რაჩაირათ? რა სახით?

მაგალითები:

ცისკარმა აღმოსავლეთი გარდის აფერათ შეღება.

ცა წითლათ, უგითლათ ელავდა.

ბავშები ხმამაღლა ლაპარაკობენ.

ჩვენ ქვეითად მივდივართ.

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა.

### წოდებითი სიტყვა (მიმართვა).

წოდებით ბრუნვაში დასმულ სიტყვას წინადა-  
დებაში. წოდებითი სიტყვა ქვია, ან მიმართვა.

მაგალითები:

ბალი-გამოლი, გუთანო! ლილიტაგ, ბანი უთ-  
ხარო!

მუღლ, შენ გეუბნები, — რმაღლ, შენ გაიგონეო!  
ბაჭყ, ვისი ხარ, მაღხეაზო!  
ჩიტყ, ჩიტყ ჩაორა! — რათ, ბატონო მეღდაჲ?

ს ა ს ვ ე ნ ი 6 0 6 0 ჟ ნ ე ბ ი.

საუბრის ან კითხვის დროს აქა-იქ, სხვადასხვა  
აზრის გასარჩევათ, საჭიროა ხმის აწევა ან დაშვება,  
შეჩერება, შესვენება; შესასვენებელ ადგილზე და-  
ისმის სხვადასხვა ნიშანი, რომელსაც სასვენი ნიშ-  
ნებია ქვია.

სასვენი ნიშნები ათნაირია:

- |                       |                            |
|-----------------------|----------------------------|
| 1) , (მძიმე)          | 6) : (ორწერტილი)           |
| 2) . (წერტილი)        | 7) () (ფრჩხილები)          |
| 3) ; (წერტილ-მძიმე)   | 8) „ „ ან „ „ (ბრჭყალები)  |
| 4) ? (კითხვის ნიშანი) | 9) — (ხაზი ან ტირე)        |
| 5) ! (გაკვირვ. ნიშ.)  | 10) ~ ან - (გადასატ. ნიშ.) |

როცა რამდენიმე სხვადასხვა საგანი ან მო-  
ქმედებაა ერთად ჩამოთვლილი, მათ შორის მძამეები  
დაისმის:

შათამი, ბატი, ინდოური, იხვი და ფარშავანგი  
შინაური ფრინველები არიან; — ბავშები ხან სწერენ,  
ხან კითხულობენ, ხან თამაშობენ.

მძიმე აგრეთვე დაისმის, როცა აზრი იწყება  
კავშირებით: რომ, როდესაც, რაღგანაც, მაგრამ,—  
აგრეთვე ნაცვალსახელით რომელიც; მძიმე ამ შე-  
მთხვევაში ამ სიტყვების წინ დაისმის:

მს ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუმაძლარი არიან.

ქაცი მაშინ გაიგებს ყველაფერს, როდესაც (როცა) სწავლაში გირჩოვნება.

მს ბავში ვერაფერს სწავლობს, რადგან მა- სწავლებელს ყურს არ უგდებს.

პვათა ვარ, მაგრამ მანც ვშრომობ.

შველას ახსოვს თამარი, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში მეფობდა.

2. პითხვის ნიშანი მაშინ დაისმის, როცა წი- ნაღადებით რამე კითხვა გამოიხატება:

სად მიდიხარ? | ვინა სოჭვა?

როდის მოხვედი | რა გქვია სახელათ?

3. ოწერტილი მაშინ დაისმის, როცა უნდათ ჩამოთვალონ სხვადასხვა საგანი; ამ შემთხვევაში ორწერტილის წინ დაისმის ან იგულისხმება სიტყვა შემდეგი.

მე ვნახე (შემდეგი) ქალაქები: თფილისი, მუ- თაისი, ვოთი, ოზურგეთი.

4. წერტილი იმ წინაღადებათა შორის დაისმის, რომელთაც ერთმანეთ შორის ან სულ არავითარი კავშირი აქვთ, ან აქვთ კავშირი, მაგრამ ერთობ შორეული, — მაგალითად:

მრთი მელა სოფელ-სოფელ დაცუნცულობდა.

მრთ ალაგას ლილით სავსე სამღებრო ქვევრი პირ- ლია დარჩენილიყო. იქა-აქ სიარულის დროს მელა ქვევრში ჩავარდა და შავათ შეღებილი შეიქნა. და- იწყო სიარული. მრთი მამალი შემოეყარა.

5. ქრისტ-მძიმე იმ გავრცელებულ მთავარ წინადადებათა შორის დაისმის, რომელნიც აზრით ერთმანეთთან არც ისე შორს არიან, რომ წერტილი დაისვას, და არც ისე ახლოს, რომ — მძიმე; განსაკუთრებით აღწერაში, — მაგალითად:

ნახეს უცხო ვინმე ვაუი, რომელიც მდინარის პირას იჯდა და სტიროდა; ლომგმირ ვაუკაცეს. შავი ცხენი სადავით ხელში ეჭირა; ლაგამ-აბჯარ-უნაგირი მარგალიტებით მორთული ქონდა; დამწვარი გულიდან მონადენ ცრემლს ვარდისფერი ლოყები დაეთროვილა („ვეფხ.“).

### ხაზი საუბარში.

მოთხრობაში, როცა მომქმედი პირების საუბას რია შოკვანილი, იმის მაგიერ, რომ დაასახელონ — ამ კაცმა ეს უთხრა, ამან ეს უპასუხაო, — თითოეული მოსაუბრის სიტყვების წინ დიდი ტირე (—) დაისმის, — მაგალითად:

— შენი სახელო, ძმობილო? — მკითხა მან.

— გაბრიელი. — შენი? — ახლა მე ვკითხე.

— გლახუკა.

— ხადაური ხარ?

— რაჭველი. — შენა?

შეც ვუთხარი, სადაურიცა ვარ.

(ილ. ჭავჭ. „გლახის ნამბობი“).

სასივრცი ციფები წოდებით ციტყვაში.

წოდებითი სიტყვა (მიმართვა) წინადადების ან  
თავში დაისმის, ან შეაში, ან ბოლოში.

თუ მიმართვა თავში ზის, მიმართვას შემდეგ  
მძიმე დაისმის:

ჩემთ ანდრო, უსწავლელი ადამიანი გონება-  
დახშულია.

როცა მიმართვა შეა წინადადებაშია, წინაც  
მძიმე დაესმის და ბოლოშიც:

უსწავლელი ადამიანი, ჩემთ ანდრო, გონება-  
დახშულია.

როცა წოდებითი სიტყვა წინადადების ბოლო-  
ში ზის, წინ მძიმე დაესმის და ბოლოში გაკვირვე-  
ბის ნიშანი:

უსწავლელი ადამიანი გონებადახშულია, ჩემთ  
ანდრო!

— თავი —

**დამატება და განსაზღვრება ნათესაობით  
ბრუნვაში.**

ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი დამატება მაშინ არის, როცა ზენაზეა დამოკიდებული, და განსაზღვრება — როდესაც არსებით სახელზე.

**დ ა მ ა ტ ე ბ ა.**

ამ ბავშვს დედ-მამის ეშინია  
მოსწავლეს მასწავლებლის ერთდება.

**გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა.**

მოსწავლის სიმდიდრე სწავლაა.  
მენტარის წვერზე მუდამ თოვლი ძევს.

**მ ი მ ა ტ ე ბ ა.**

როცა არსებითი სახელი არსებითი სახელითვე განისაზღვრება, ამისთანა განსაზღვრებას მიმატება ეწოდება.

**მაგალითები:**

ჩამოართვეს მართლი, მისცეს მრუკლეს მეს ძოსტანტინეს; — საჭართვნლოში პირველი ქართული სტამბა ვახტანგ მეექვსემ, ქართლის მეფემ, გამართა; — ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა, ნინოს დიდი ქრისტიანობის.

ზემას ენელის შეთანხმება ქვემდებარესთან.

ჩართულ ენაში მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან შემასმენელი ყოველთვის მრავლობითად არ იხმარება. ა

შემასმენელი ამ შემთხვევაში მხოლოდ თბილი ფიცხვი დაისძის:

ა) თუ ქვემდებარე უსულო საგანია და პირველი დაბოლოებით (ე'რ) არის ნაბრუნები:

მთები თოვლით დაიფარა,

ეს ხეები ძალიან გაიზარდა;

ბ) სულიერი საგნის რთულ ქვემდებარესთან:

ჩემი დედ-მამა აქ ცხოვრობს;

გ.) რიცხვით სახელთან:

ასი გაცი ერთად მიდის;

ათასმა გაცმა მრავალრიცხოვანი მტერი დაამარცხა.

\*

შემასმენელი მრავლობით რიცხვში დაისძის:

ა) როცა მრავლობითი რიცხვის ქვემდებარე სულიერი საგნია:

ბავშები კარგათ სხედან, ე

ძალლები ნადირს უეფენ;

ბ) როცა წინადადებაში სულიერი საგნის მხოლოდითი რიცხვის რამდენიმე ქვემდებარეა:

დედა, მამა და შვილების წაგიდენ;

გ) როცა უსულო საგნის ქვემდებარე მეორე

ლაბოლოებით (ნი) არის ნაბრუნები:

მთანი თოვლით დაიფარენ,

ეს ხენი ძალიან გაიზარდენ;

დ) როცა სულიერი საგნის რთულ ქვემდება-  
რესთან რამდენიმე შემასმენელია, პირველი მხოლო-  
ბით რიცხვში დაისმის, დანარჩენი კი ყველა მრავ-  
ლობითში: და-მმა ერთად ცხოვრობს, ღილ-ღილო-  
ბით შეკლაში დადიან, ნასაღილევს კი ყმაწვილებს  
ასწავლიან და ამით თავს ირჩენენ.

### მთავარი და დამოკიდებული ჭინაღაღება.

ბავშები გრძნობენ, რომ მასწავლებელს მათი  
ხასიათი მოსწონს.

აქ ორი წინადადებაა: 1) „ბავშები გრძნობენ“  
და 2) „რომ მასწავლებელს მათი ხასიათი მოსწონს.“

მეორე წინადადება ცალკე რომ ავილოთ, აზრი  
გასაგვის არ იქნება; იმის აზრს მაშინ გავიგებთ,  
როცა მასთან პირველ წინადადებას ვიტყვით.

ამ სახით, მეორე წინადადების აზრი პირველ  
წინადადებაზეა დამოკიდებული.

პირველი წინადადების აზრი (ბავშები გრძნო-  
ბენ) ცალკე თავისთავათ არის გასაგები: ამისთანა-  
წინადადებას მთავარი წინადადება ქვია; — მეორე წინა-  
დადების აზრი ცალკე გასაგები არ არის, მთავარ  
წინადადებაზეა დამოკიდებული: ამისთანა წინადა-  
დებას დამოკიდებული წინადადება ეწოდება.

მაგალითები:

უკელამ იცის, რომ სწავლა სასარგებლოა.— მშობლებს უხარიათ, რომ მათი შვილები კარგი ზნის არიან.— უმაწვილმა მხოლოდ ის წიგნი უნდა წაიკითხოს, რომელიც სასარგებლოა.— მრი ყური და ერთი ენა იმისთვის გვაჭვს, რომ ბევრი მოვისმინოთ და ცოტა ვილაპარაკოთ.— როდესაც ფარნალი გამეფუდა, საქართველოში ქართული ანბანი პირველათ შემოიღეს.

რამდენია დამოკიდებული შინადაღება?

დამოკიდებული წინადაღება იმდენივეა, რამდენიც არის წინადაღების მეორე ხარისხის ნაწილი.  
წინადაღების მეორე ხა-  
რისხის ნაწილებია:

1. დამატება
2. განსაზღვრება
3. ადგილის გარემოება
4. დროის
5. მიზეზის
6. მიზნის
7. გთარების

1. დამატებითი
2. განსაზღვრებითი
3. ადგ. გარემოებითი
4. დროის
5. მიზეზის
6. მიზნის
7. გთარების

დამატებითი დამოკიდებული შინადაღება.

გონიერი ბავშები კარგათ ხელვენ, რომ მასწავლებელს მათგას კეთილი სურს.

ამ მაგალითში მეორე წინადაღება დამოკიდებულია პირველზე: პირველი შეფარდა, მეორე — დამოკიდებული.

დამატებითია დამოკიდებული წინადაღება, განსაზღვრებითი თუ გარემოებითი — ამას კითხვით გამოვიცნობთ. ქითხვაში მთელით შედის ის წინადაღება, რომელზედაც გასარჩევი წინადაღებაა დამოკიდებული, — მხოლოდ რამე შესაფერი საკითხავი სიტყვა უნდა მივუმატოთ.

დამოკიდებულ წინადაღებებს იმისთანა ხასიათის კითხვები უნდა ზოლმე, როგორიც წინადაღების მეორე ხარისხის ნაწილებს.

ზევით მოყვანილის დამოკიდებული წინადაღების კითხვაში შევა მისი მთავარი წინადაღება: „გონიერი ბავშები კარგათ ხედვენ“, რომელსაც აქ, აზრის მიხედვით, უნდა დავუმატოთ საკითხავი სიტყვა რას:

რას ხედვენ გონიერი ბავშები?

ქითხვა რას დამატების კითხვაა; მაშასადამე, ზემორემოყვანილი წინადაღება (რომ მასწავლებელს მათთვის ქეთილი სურს) — დამატებითი დამოკიდებული წინადაღება ყოფილა.

დამატებითი დამოკიდებული წინადაღება იმისთანა ზმნებს. შემდეგ დაისმის, რომელიც ნიშნავს ან გრძნობას (მაგალ. ვგრძნობ, ვწუხვარ, მიხარია და სხვ.), ან ცოდნას (მაგალ. ვიცი, შევიტყვე, გავიგვი და სხვ.), ან მბობას (მაგალ. ამბობენ, გადმოგვცეს, ხმა დაყარეს და სხვ.).

მაგალითები:

ბავშვაც კი იცის, ვინ არის ძაკო. — ვნახე, რომ  
ქვეყნათ ჩამოსულიყვენ ნინო, შეთევანი და თვით  
თამარი. — ძალენდარში სწერია, რომ წრეულს დი-  
ლი ზამთარი იქნებაო. — უსწავლელთ ახლაც არა  
სჯერათ, რომ დედამიწა ჰაერში ტრიალობს და და-  
დის. — ზარმაცი მოსწავლე ფიქრობს, თითქო მა-  
სწავლებელი მისი მტერი იყოს.

რა კითხვა უნდა აქ მოყვანილს თითოეულს დამოკიდე-  
ბულ წინადაღებას?

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაღება.

„ვეფხის-ტყაოსანი“ დაუწერია შოთას, რომე-  
ლიც თამარის დროს ცხოვრობდა.

ამ მაგალითში მეორე წინადაღება დამოკიდე-  
ბულია პირველზე: პირველი მთავარი წინადაღებაა,  
მეორე კი დამოკიდებული.

ამ დამოკიდებული წინადაღების სრული კითხვა  
იქნება: რომელ შოთას დაუწერია „ვეფხის-ტყაო-  
სანი“? — კითხვა რომელი განსაზღვრების კითხვაა, —  
მაშასადამე ზემორემოყვანილი წინადაღება. (რომე-  
ლიც თამარ მეფის დროს ცხოვრობდა) არის გან-  
საზღვრებითი დამოკიდებული წინადაღება.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაღება  
ხშირათ მთავარი წინადაღების თავშია მოქცეული, —  
მაგალითად:

შოთა რუსთველი, რომელსაც „ვეფხის-ტყაო-  
სანი“ დაუწერა, თამარ მეფის დროს ცხოვრობდა.

ამ მაგალითში მთავარი წინადადებაა: „შოთა რუსთველი თამარ მეფის დროს ცხოვრობდა“, — შეუში ჩართულია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება იწყება ნაცვალსახელით რომელიც; ზოგჯერ კი რომელიც-ის მაგიერ რომ იხმარება, — მაგალითად:

„აი რას ამბობს ის გმირი, შენ რომ ბოჩოდა გბონია“.

ამ მაგალითში „შენ რომ ბოჩოდა გბონია“ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა (კითხვა: რომელი გმირი ამბობს?). — რომ-ის მაგიერ შეიძლება რომელიც ვიხმაროთ — და მაშინ იქნება:

აი რას ამბობს ის გმირი, რომელიც შენ ბოჩოლა გგონია.

მაგალითები.

პრულ-იუს იმის სახელი, ვინც (რომელმაც) მთა გასცვალოს ბარზედა! — მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა, მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენს წინა! — შენ რომ ბოჩოლა გგონია, ის არის ძეგლი გმირისა. — საღაც სიყრმითვე ჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არის! — ნისლი, რომელიც მთის წვერზე წყნარათ მოსცურავდა, ჯიხვს მიუახლოვდა. — მეფეს ერთი ვეზირი ყავდა, სახელათ სედრაქა (ივულისხმე: რომელსაც ერქვა).

რა კითხვა უნდა აქ თითოეულს დამოკიდებულ წინადადებას?

სახელი ნიშნები დამატებითსა და განსაზღვრებითს  
დამოკიდებულ ჭირდადებაში.

1. დამოკიდებული წინადადება თავისი მთავარი  
წინადადებისგან მძიმეთი (,) გაიყოფება.— თუ და-  
მოკიდებული წინადადება რომ-ით ან რომელიც-ით  
იწყება, მძიმე რომ-ისა და რომელიც-ის წინ დაისმის:

შველამ გაიგო, რომ დედამიწა რგვალია;—  
პოლუმბმა ამოაჩინა ქვეყანა, რომელიც ველურებით  
იყო მოსახლებული.

2. როცა დამოკიდებული წინადადება მთავა-  
რის შუაშია მოქცეული, წინაც მძიმე უზის და  
უკანაც:

გახტანგ ზორგასლანმა იმ ადგილას, სადაც  
თფილი წყლები ნახა, ქალაქი თფილისი ააშენა.

3. თუ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინა-  
დადება რომ-ით არის გამოთქმული, მძიმე რომ-ის  
წინ კი არ დაისმის, არამედ იქ, სადაც დამოკიდე-  
ბული წინადადება იწყება, ან სადაც თავდება.

აი რას ამბობს ის გმირი, შენ რომ ბოჩოლა  
გგონია;— შენ რომ ბოჩოლა გგონია, ის არის ძეგ-  
ლი გმირისა.

ჩ ა რ თ უ ლ ი ჭ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

ჩართული წინადადება იმ წინადადებას ეწო-  
დება, რომელიც სასაუბრო საგანს პირდაპირ არ  
ეხება, არამედ ჩაემატება, ჩაერთვის წინადადებას

შუაში ან ბოლოში და, სხვათა შორის, აზრს რამდენათმე განმარტავს:

თვალს არ აშორებს ამ ყვავს მელია (აბა, შიმ-შილი ასე ძნელია!). — ბლეხის თქმის არ იფოს, შრისტე ღმერთს თავისი კალთა ჩვენში დაუბერტყა. — თურმე ნუ იტევთ — ლუარსაბს ბუზები და-ეთვალა!

ჩართულ წინადაღებებს ეკუთნიან შემდეგი მოკლე გამოთქმანი: ასე გაშინჯეთ, რა საკვირვე-ლია, თქმა არ უნდა, ღმერთს გაფიცები, მართალი მოგახსენო და სხვ.

შენიშვნა. ჩართული წინადაღება ან ფრჩხი-ლებში ჩაისმის, ან მმიმებული, ან საზებს შორის (იხ. მაგალითი ზევით).

### უ მ ა მ ტ ა ნ ი ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ა დ ა დ ა .

შემოცანილი წინადაღება იმისთანას ქვია, რო-მელიც სხვისგან წარმოოქმულ აზრს წარმოადგენს:

დედამ შვილს უთხრა: „შვილო, გულმოდგი-ნეთ ისწავლე და სამშობლო ენას ნუ დაივიწყებ, თუ გინდა-შენს ქვეყანას გამოადგეო“. — უბძანა: „ნუ სტირ, ასულო!“ — მეზირთა კალრეს: „მეფეო, რათ ბძანეთ თქვენი ბერობა?“

შენიშვნა. შემოტანილ წინადაღებას თავსი და ბოლოში ბრჭყალები უნდა..

გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება შინაგანი.

გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება იმდენვეა, რამდენიც არის წინადაღებაში გარემოება,— ე. ი. ხუთი: ადგილის, დოქოის, მიზეზის, მიზნის და ვითარების.

### I. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება.

სადაც შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდება.

ამ მაგალითში პირველი წინადაღება მეორეზეა დამოკიდებული; მაშასადამც, დამოკიდებულის კითხვა იქნება:

სად ნუ დაგავიწყდება ჩემიც?

მს კითხვა გვიჩვენებს, რომ „სადაც შენი სთქვა“ ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წ. სადაღება ყოფილა.

მაგალითები:

„ბეჭური, საითაც გაიქცა, იქით წაიქცო.“

სადაც არაგვი მტკვარის შეერთვის, იქ ერთხელ ქართველთა სიცოცხლე სდულდა.— სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა შამაცისაგან.

რა კითხვა უნდა თითოვულს დამოკიდებულ წინადაღებას?

### II. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება.

რა ესმა ეს ბუღბუღსა, შესძახა თავისებურათ.

აქ პირველი წინადაღება მეორეზეა დამოკიდებული; მისი სრული კითხვა იქნება:

როდის შესძლსა თაგისებურათ?

მაშასალამე, რა ესმა ესე ბუღბუღსა არის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

მაგალითები:

მაშინ იხარებს მწილნავი, ოდეს მოისთვლის ტევნებსა.—რომ ვინმე ჩიტათ მაჭცევდეს, წამს გადავივლი მთებსაო.—ასიც რომ დამკრა, ხმასაც არ გაგცემ.—ბამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მივეფერო.—თუმცა ეს კაცი ხასიათით ბოროტსა გავს, მაგრამ გულით კეთილია.

როგორ იკითხავთ თითოეულს დამოკიდებულ წინადებას?

### III. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

ნადირის მოკვლა ცოდვაა, იმიტომ რომ უფეხელი სულიერი ღვთის დანაბადია.

ამ მაგალითში მეორე წინადადება პირველზეა დამოკიდებული; — მისი სრული კითხვა იქნება: რატომ არის ცოდვა ნადირის მოკვდა?

მაშასალამე—მეორე წინადადება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილია.

მაგალითები:

ზაფხულში იმიტომ ცხელა, რომ მზე დედამიწას პირდაპირ დაყურებს.—ბავშვი შემდეგ კლასში

იმის გამო (იმ მიზეზით) ვერ გადავიდა, რომ მუდაშ  
ზარმაცობდა.—რაღანაც (ვინაიდან) თამარი გო-  
ნიერი და ძლევამოსილი მეფე იყო, (ამიტომ) მის  
დროს საქართველო აყვავდა.

რა კითხვა უნდა თითოეულს დამოკიდ. წინადადებას?

#### IV. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინა- დადება.

მე კალამი მისთვის მინდა, რომ სიმართლეს  
მსახურებდეს.

ამ მაგალითში მეორე წინადადება პირველზეა  
დამოკიდებული; — მისი სრული კითხვა იქნება: რას-  
თვის მინდა მე გადამი?

მს კითხვა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული დამო-  
კიდებული წინადადება მიზნის გარემოებითი დამო-  
კიდებული წინადადება ყოფილა.

#### მაგალითები:

მს ბავში ძლიერ მონდომებულათ სწავლობს,  
რომ მშობლები გაახაროს. — მგელი იმისთვის თარე-  
შობს, რომ ცხვარი მოიტაცოს. — ლმერთთან მის-  
თვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძლვე წინა ერსა. —  
მმინდა ნინო საქართველოს იმისთვის მოვიდა, რომ  
აქ ქრისტიანობა გაევრცელებია. — ვარნაოზი ფარუ-  
ლათ ჯარების მზადებას შეუდგა, რომ საქართველო  
მაკედონელთაგან გაეთავისუფლებია.

თითოეულის დამოკიდებული წინადადების კითხვა?

V. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება.

ნავი ისე მიფრინავდა, რომ ქაცი თვალს ვერ მისწევდა.

ამ მაგალითში მეორე წინადაღება პირველზეა დამოკიდებული; — მისი კითხვა იქნება: როგორ მიფრინავდა ნავი?

მაშასადამე, მოყვანილი დამოკიდებული წინადაღება ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება ყოფილა.

შენოშვნა. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება იწყება კავშირებით: რომ, როგორც რომ, როგორც, ვით, ვითარცა, თითქო. ხშირათ ამ კავშირებს მთავარ წინადაღებაში ზმნისართი „ისე“ მიუძლვის.

მაგალითები:

შიკრიკი ისე გაფრინდა, როგორც ტყვია. — ისე მოიქეცი, როგორც პატიოსან კაცს ეკადრებოდეს. — სხედან, ვით დევნი. — მზის სხივი მთის მწვერვალს ალერსით თავს ეხვეოდა, ვით ქალი მამას მოხუცა. — საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი, უხთების.

რა კითხვა უნდა თითოეულს დამოკიდებულ წინადაღებას?

**სასვენი ნიშნები გარემოებითს დამოკიდებულ  
წინადაღებაზე.**

დამოკიდებული წინადაღება თავისი მთავარი  
წინადაღებისაგან მძიმეთი (,) გაიყოფება:

თორმეტი წლისა მაშინ უკავი, როცა ბატონში  
სახლს მომდებრა:— შენ ბეჭდი მულფი რომ მმათ  
მიგაჩნდეს, ეს ვერაფერი სიყვარულია.

როცა დამოკიდებული წინადაღება რთული  
კავშირებით იმიტომ რომ და მისთვის რომ-ით არის  
გამოხატული, თუ რთული კავშირი ერთად არის,  
მაშინ მძიმე პირდაპირ მის წინ დაისმის:

მს ბავში კარგათ ვერ სწავლობს, იმიტომ რომ  
ზარმაკია.

თუ რთული კავშირი ისეა გაყოფილი, რომ  
პირველი ნახევარი (იმიტომ ან იძისთვის) მთავარ  
წინადაღებაშია, და მეორე (რომ) დამოკიდებულში,  
მაშინ მძიმე რომ-ის წინ დაისმის:

მს ბავში კარგათ იმიტომ ვერ სწავლობს, რომ  
ზარმაკია.— სიმდიდრე იძისთვის უნდა გვინდოდეს,  
რომ დაჩაგრულ მოძმეებს შევეწიოთ.

**აჩეული მაგალითები:**

სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს.—  
მს ყმაწვილი რომ (როცა) გაიზარდა, ოჯახი ფეხზე  
დააყენა.— მოსწავლე შკოლიდან დაითხოვეს, რად-  
გან ცუდი ყოფაქცევის იყო.— მს ბავშები ცოილო-  
ბენ, რომ სწავლა შეიძინონ.— ისე უნდა ვიქცეო-  
დეთ, რომ ყველას ვუყვარდეთ. — განო თავის ამხა-

ნაგს, როცა ის ავათ იყო, თავდადებით უკლიდა. — ივანე იშიტომ არის ლარიბი, რომ შრომა არ უყვარს; — ივანე ლარიბია, იმიტომ რომ შრომა არ უყვარს.

### სიტყვათა წარმოება.

სიტყვები შედგენილობით იქნება მარტივი და რთული, პირველსახეობითი და წარმოებითი.

მარტივი იმ სიტყვას ეწოდება, რომელიც ერთი ძირის ფორმისაგან შესდგება, — მაგალითად: მამა, მმა, ქალი.

რთული იმ სიტყვას ქვია, რომელიც ორის ან მეტი ძირის ფორმისაგან არის შემდგარი, — მაგალითად: დედ-მამა, და-მმა, ქალ-გაჟი, შავთვალ-წარბა, თავდაბალი, გულეკეთილი.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

რთული სიტყვა შუახაზით მაშინ იწერება, როცა თითოეულ ძირს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: დედ-მამა (ე. ი. დედაც და მამაც), და-მმა, ქალ-გაჟი და სხვ. როცა რთულ სიტყვაში ერთი აზრი იხატება, შეერთებულათ იწერება ხოლმე (უხაზოთ): გულეკეთილი, წყალწითელა, ცხენასწერა, თავდადებული, ხმაგაკმედილი, თვალუწვდენელი, აფლადიდება და სხვ.

\*

პირველსახეობითი იმ სიტყვას ეწოდება, რომელიც თავდაპირველ ფორმას წარმოადგენს, ე. ი.

რომელსაც არავითარი მაწარმოებელი ნაწილი არ  
აქვს მიმატებული, — მაგალითად: კაცი, თავი.

შარმოებითი იმ სიტყვას ქვია, რომელიც რამე  
მაწარმოებელი ნაწილაკით პირველსახეობითი ფორ-  
მისაგან არის ნაწარმოები, — მაგალითად: კაცური,  
კაცობრიული, თავიანი, თა(გ)ოსანი, სათავე, გა-  
თავებული.

სხვადასხვა ფორმის მაწარმოებელ ნაწილაკებს  
ჩასართები ქვია, ან სუფიქსები.

ერთი ძირისაგან, სხვადასხვა ჩასართის საშვა-  
ლებით, სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები კეთდე-  
ბა. — ავილოთ მაგალითად ძირი ხელ (ხელი); აქი-  
დან წარმოობს: ხელიანი, ხელოსანი, ხელოვანი,  
ხელობა, მოხელე, სახელო, ხელური და სხვ.

\*

სხვადასხვა სიტყვის ნაწილს სხვადასხვა სუფიქ-  
სი აქვს.

1. პრეტით სახელთა სუფიქსები:

უნ: ჩიტუნა (ჩიტუნია), წალდუნა, კაცუნა.

აპ: დანაკა, ჭალაკა, გორაკი.

იპ: ივანიკა, გირიკა.

უპ: ბარუპა, ცხენუპა, ბეჭუპა.

სა: სასახლე, სახელო, საქათმე, საღორე.

მე: მექარე, მეღორე, მეხე, მემარნე.

მო: მოქალაქე, მოხევე, მოხარე, მოხელე.

სი: სივერე, სიემაწვილე, სიბერე.

ობ: ქართველობა, ხელობა, ხელოსნობა, უგუ-  
ლობა.

ებ: ბედნიერება, მღიერება, თაგისუფლება,  
შო: ძახეთი, იმერეთი, სპარსეთი.

ეულ: სბილენბეული, რკინეული, ათეული

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

არსებითი სახელი, ზევით ჩამოთვლილი სუ-  
ფიქსების შემწეობით, სხვადასხვა სიტყვის ნაწილის-  
გან წარმოობს:

ა) ზმნებისგან; ყვარვა—სიუგარული, სურვა—  
სურგილი და სხვ.

ბ) მიმღეობისგან: მოყვანილი—მოუგანილობა,  
შეღგენილი—შედგენილობა; —აგრეთვე თვით მი-  
მღეობა აშირათ იხმარება, როგორც არსებითი სახელი;  
მკითხავი, საჭამალი, სათიბი, საწნახელი, საჭმელი,  
სასმელი და სხვ.

გ) არსებით სახელთაგანვე: გიორგობა, მარი-  
ამობა, სამეფო, საქართველო; ნასოფლარი, ნაქალა-  
ქმები; მგბურე, მეჩემმე; ძახეთი, სპარსეთი; მუხ-  
ნარი, თხილნარი; რკინეული; სბილენბეული.

დ) ზედსართავ სახელთაგან: ბედნიერება, მშგა-  
ნიერება; სითეთრე, სიღამძზე, სისქე.

ე) რცხვით სახელთაგან: ერთობა, სამება,  
ასეული, ათასეული.

ვ) ნაცვალსახელთაგან: ვინაობა, თვისება.

\*

2. ზედსართავ სახელთა სუფიქსები:

ოსან: ცხენოსანი, ჩოხოსანი, ბატისანი.

ოვან: ხელოვანი, გულოვანი, სახელოვანი.

იან: ბათნიანი, ნაბდიანი, ქვიანი.

იმრ: ბედნიერი, მშვენიერი, ხნიერი.

ელ: სოფლელი, ქალქელი, ბარელი.

ურ\*): სოფლური, ქალაქური, მხეცური.

იურ: ლეტიური, ციური, მთიური.

ეპერ: ჩვენებური, თქვენებური, მათებური.

მო: მოთეთოლ, მოგმო, მომაღლო, მოთფო.

სა: საყმაწვილო, საბავშო, საქალო, საბაღო.

ით: ბუნებითი, არსებითი, კრებითი.

მზრ, მძრივ, მძრივი: ჩემებრი, ბუნებრივი,  
კაცობრივი.

დელ: გუშინდელი, შარშანდელი, მაშინდელი.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ზედსართავი სახელი, ზევით მოყვანილი სუ-  
ფიქსების შემწეობით, სხვადასხვა სიტყვის ნაწილის-  
გან წარმოობს:

ა) არსებით სახელთავან: ბედნიერი, მიწიერი;  
ჩოხასანი, სახელოვანი, ტყიანი; საბავშო, სა-  
ყმაწვილო.

ბ) ზედსართავ სახელთავანები: მოდიდო, მოთეთ-  
ოლ; ჭბვანეური, კაცობრიული.

გ) ზმისართებრსაგან: მაშინდელი, შარშანდე-  
ლი, გუშინდლური, შარშანდლური.

დ) ნაცვალსახელთავან: ჩვენებური, თქვენებუ-  
რი, ჩემებრივი, თქვენებრივი;

\*.) თე სიტყვას ძირში ა ახლავს, ურ ულ-ათ იქცევა:  
ბურია—გურული, თათარი—თათრული, ბრიყვი—  
ბრიყვული.

\*

3. სახელზმნის სუფიქსები:

ებ: გაკეთება, აშენება, დაწუება.

ობ: შეძვობა, დაწყობა, დასობა.

ოლ: თრთოლა, ურჯოლა.

ილ: პიგილი, ჟივილი, წივილი.

ებ: გარეგა, გარჩევა, გათრევა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

თითქმის ყოველი სიტყვის ნაწილისაგან შეიძლება. ზევით ჩამოთვლილი სუფიქსების შემწეობით, სახელზმნის წარმოება.

ა) ასებით სახელთაგან: ყმაწვილი — გაუმაწვილება, ბარი — დაბარვა.

ბ) ზედსართავ სახელთაგან: მაღალი — ამაღლება, თეთრი — შეთეთრება.

გ) საცხალსახელთაგან: ჩემი — მიჩემება, თვისი — მითვისება.

დ) რიცხვით სახელთაგან: ასი — გაასება, მეორე — გამეორება.

ე) ზმნისართებისაგან: ახლოს — დაახლოება შორს — მოშორება, და სხვ.

\*

4. მიმღეობის სუფიქსები:

ელ: მწერელი, მკეთებელი, მხვნელი.

ილ: დაწერილი, შეკერილი, გალესილი.

ულ: გაკეთებული, აშენებული, დაგარგული.

არ\*): მკბენარი, მაწყინარი, დამწყარი.

ნაშენები, ნაკეთები, განაპეთები.

### სიტყვის საფუძველი და ძირი.

სიტყვის საფუძველი იმ ნაწილს ქვია, რომელიც თითოეულს გრამატიკულ ფორმაში ორ იცვლება.

ტვილოთ, მაგალითად, ზედსართავი სახელი ბეჭნიერი. მს სიტყვა რომ ვაბრუნოთ, ვნახავთ, რომ ნაწილი ბეჭნიერ ორივე რიცხვში უცვლელათ რჩება; მაშასაღამე, აღებული სიტყვის საფუძველი არის ბეჭნიერ.

სხვადასხვა ნაწარმოებ ფორმაში ერთი მიზის სიტყვას სხვადასხვა საფუძველი ექნება. მაგალითად, ზევითმოყვანილი სიტყვიდან ნაწარმოები ფორმებია:

ა) ასებითი სახელი ბეჭნიერება: საფუძველი იქნება ბეჭნიერებ.

ბ) წმიმლეობა გაბეჭნიერებული: საფუძველი იქნება გაბეჭნიერებულ.

გ) ზმნა აწყო დროში გბეჭნიერდები (ბეჭნიერდები, ბეჭნიერდება და სხვ.): საფუძველი იქნება ბეჭნიერდები, და სხვ. და სხვ.

სახელებში საფუძველი ნათესაობით ბრუნვაში უნდა მოსდებნოთ: როცა დაბოლოებას ის (სი)-ს

\*.) თუ სახელზმნას ძირში რ ახლავს, სუფაქსი ადალ-ათ იქცევა: გაშრობა—გამშრალი, გაქრობა—გამქრალი, ყვირილი—მყვირალი, ტირილი—მტირალი.

მოვაშორებთ, რაც დარჩება, ის იქნება საფუძველი; — მაგალითად:

ქედეჭი: ნათ. ბრ. კედლის, — საფუძველია გედლ.

\*\*

სიტყვის ძირი იმ ნაწილს ქვია, რომელიც უცვლელათ რჩება ყოველგან, რა ფორმაც უნდა ვაწარმოოთ.

სიტყვის ძირი ასე მოიძებნება: უნდა გავარჩიოთ აღებული სიტყვის თავი და ბოლო; რაც თავსა და პოლოში მაწარმოებელი ნაწილაკები ჩამატებული აქვს, ყველა უნდი მოვაშოროთ, და რაც ამას შემდეგ დარჩება, ის იქნება წმინდა მირი.

ავილოთ, მაგალითად, ფორმა გაბეჭინიერებული. ამ სიტყვას თავში ახლავს თავსართი გა; ბოლოში ახლავს: ა) დაბოლოება ი, ბ) ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობის სუფიქსი ულ, გ) სახელზმნის სუფიქსი ებ, დ) ზედსართავი სახელის სუფიქსი იმრ და ე) კეთილხმოვანებისთვის ჩართული ხმა ნ. — ყველა ნაჩვენები მაწარმოებელი ნაწილაკი რო მოვაშოროთ, დარჩება წმინდა მირი „ბედ.“ — აქიდან რა ფორმაც უნდა ვაწარმოოთ, ძირი ბედ ყოველგან უცვლელათ დარჩება:

ბედნიერი, უბედური, გაბეჭინიერება,

საბედნიერო, გაბედგა, გაჭიდავი და სხვ.

### ლ Թ Ա Տ Ա Վ Ա Ր Ը Ն Ա.

մարտնչլու სიტყვեბու զամոռվեմաშո եմուս ամալլոյց  
ծաս տեղայլունքս, մագրամ ուշցամոհենունատ արա, հռո-  
ցորիւ, մագալունադ, գրանցուլուսա, հոսուլուսա և սեզա  
յնցեման.

Երկույաման եմուս ամելլոյցեաս Շեմթցոյ յանոնո  
այլա:

1) Պարմարպալունան սուրպայաման եմուս ամալլոյցա  
ծոլունան մյունց մարպալունց մոխունա եռլոմց;

2) Սամմարպալունանսա և սանոցալուն մրացալու  
մարպալունան երկույաման յունակունա մյունց մարպ-  
ալունց:

ա) հա'ցո, իս'կո, մա'մա, զյ'ճա, յ'թռ;

բ) հա'ցըօ, իս'կոյօ, ս'լուգամա, սոես'հոյլո,  
ծյանոյ'րուսա.

\*

մարտնչլու լոյկետանյունա եմուս ամալլոյցանցունա  
արու և գագունց մյունց մարպալունա հառունանցունանցու.

Լոյկետա տուտոյուն սկրոյշոնս Քայի յիշունց մյունց  
առաջ հայքա—եսնա.

Ըլլոյցանցուն միշտունա յանսայունա տրունա յիշունց  
լոյկետանյունա ուժմարցա:

1. Շատու (տոյկետանյունա լոյկետա),

2. Իսենյեսայունա\*) (ուժմարպալունա լոյկետա),

\*) Աեց յիշունց մյ-12 Տասկյունուս մցունուս ի ա ե հ ո ւ ե ա-  
ք ո ւ ս Տակյունու, հոմելուս յ ս նոմա პորցունա ուժմարսա.

3. მუსტაზადი (თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი),
4. თეჯდისი (თერთმეტმარცვლოვანი ლექსი)
- და 5. ბაიათი (შვიდმარცვლოვანი ლექსი)

### 1. გ ა ი რ ი.

შაირი ორგვარია: შაღალი და დაბალი. ორივე-  
გვარი შაირის თითოეულ ტაქტში თექვს მეტ-თექვსმე-  
ტი მარცვალია, მაგრამ კითხვაში სხვადასხვანაირი  
მუსიკა მოისმის. (მასწავლებელმა უნდა აუხსნას, ად-  
განსხვავებაც არის. მათ შორის).

#### ა. მაღალი შაირის მაგალითი:

ნახეს უცხო მოყმე ვინშე, სჯდა მტირალი წყლისა ვირსა;  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა;  
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა;  
ცრემლსა გარდი დაეთროვილა გულსა მდუღრად ანატირსა.

#### ბ. დაბალი შაირის მაგალითი:

ჭას ცრანსა კაბა ემოსა. გარე იმა ვეფვების ტყავისა;  
ვეფვის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა;  
ხელთა ნაჭერი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა;  
ნახეს—და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა.

ორივეგვარი შაირი (მაღალიც და დაბალიც)  
შხოლოდ პოემებს შეშვენის,—იქ შეიძლება ზოგი  
ხანა მაღალი იყოს და ზოგი დაბალი, როგორც  
მაგალითად, დაწყობილია „ვეფვისტყაოსანი“; პატა-  
რა ლექსის კი სხვადასხვა ზომა არ შეშვენის: ის ან  
მთელათ მაღალი შაირით უნდა იყოს დაწყობილი,  
ან მთელათ დაბალი შაირით.

შაირი ახალ მწერლობაში ისე ხშირათ არ იხმა-  
რება, როგორც დეუდი.

რეუდი წარმოადგენს შემოკლებულ შაირს: თა-  
თოეუდ ტაქტში რვა-რვა მარცვალია, — მაგალითიდა:

შრელი პეპელია დაარო  
და გააბრუა იამა;  
მას მიეპარა ყმაწვილი,  
დაიჭირა და იამა.

---

## 2. ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი.

ჩახრუხაუდის ზომით შეიძლება ოთხვარი ლექ-  
სი დაიწეროს: 1) ოცმარცვლიანი ტაქტი, 2) თუთხ-  
მეტმარცვლიანი, 3) ოთმარცვლიანი და 4) ხუთ-  
მარცვლიანი.

მაგალითები:

1. ნე დავიმარხო ჩემსა მამულშა, ჩემთა წინაპართ საფლავები  
შორის!

ნე დამატიროს სატრიფომ გულისა, ნუცა დამეცეს ცრემლი  
მწუხარის!

შავიყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის  
მინდვრის —

და ქარიშხალი ძვალთა შოენილთა ზარით, ღრიალით მიწას  
მომაყრის...

2. ძართლისა ვიზილე ქალთა მეფაი, ტურთა დიანა:

ძეკლუცი, ნაზი, ბაზრი და ნორჩი, კეთილხმიანა;

შას ვეღობილე, თაყვანსა ვსცემდი ძმიან-დიანა, —

შაგრამ შავბედმა, მრისხანე ხვედრმა დამაზიანა.

3. ჰიქრმა და დარდმა სულ დამადუნა,

ადრე დამაჭუნო, დამაბაჭენა;

ორმოცდაათშა წელშა გამლუნა,  
ძისერში მაგრათ ჩამიყაკუნა.

ან გარტო თრროთმიანი (მეორესა და მეოთხე  
ტაეპში):

ზაკვეთე ქარი, გააპე წყალი,  
გადაიარე კლდენი და ლრენი;  
ზასწი, გაკურცხლე—და შემიშოკლე  
მოუთმენელსა სავალი დღენი!

4. რათ შემიყვარებ?

ზანა არ ვიცი!  
შენ ჯერ ნორჩი ხარ,  
მე კი მოხუცი!

### 3. მ უ ს ტ ა ზ ა დ ი.

მუსტაფადის თითოეული ტაეპი თოთხმეტი  
მარცელისაგან შესდგება,—მაგალითად:  
მირბის, მიმათრენს უგზო-უკვლოთ ჩემი მერანი;  
უკან მომჩხავის ოვალბედითი შავი ყორანი.

### 4. თ ე ჯ ლ ი ს ი.

თ ე ჯ ლ ი ს ი ს თითოეული ტაეპში თერთმეტი  
მარცვალია,—მაგალითად:  
პლმართ-ალმართ მივდიოდი მე ნელა;  
სერჩე შევდექ, ჭრუნეის ალი მენელა...

494.63

— 86 —

6931

၅၊ ၂၁၉၁၈

ပာစိတဝီ တေတ္ထုဖူး စွဲအံမြို့ မျက်လှိုင် မာရ်ပြုသူလှေား  
စွဲလှိုင်၊ ဘျာမြို့ နာလှာမြို့!  
မြတ် အကျိုးမြှော်ချောင်းမြို့  
ရာ-ဘျာမြို့ မျက်မြို့လှိုင်  
မျှော်လှိုင် ဂျာလှိုင် မာလှာမြို့.

494.63

b 931

შირველი გამოსუმა დაიტუჭი 2400 წელი შესაბა  
გამოსუმა იმეჭიდება 6000 წელი

494.92 - 494

ამ წელი მოგეხვე ხელი ბა

ამ წელი მოგეხვე ხელი

ამ წელი მოგეხვე ხელი

ამ წელი მოგეხვე ხელი